

თ. ბიბილეიშვილი, ი. ბერძენიშვილი,  
ნ. ბოკუჩავა

ტესტები ფიზიკურ  
და კოლოიდურ ქიმიაში

I ნაწილი

„ტექნიკური უნივერსიტეტი”

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თ. ბიბილეიშვილი, ი. ბერძენიშვილი, ნ. ბოკუჩავა

ტესტები ფიზიკურ  
და კოლოდიდურ ქიმიაში

I ნაწილი



რეგისტრირებულია სტუ-ს  
სარედაქციო-საგამომცემლო  
საპჭოს მიერ

თბილისი  
2008

მოყვანილია ტესტები ფიზიკური ქიმიის შემდეგი თავების: ნივთიერების აღნაგობა, ქიმიური თერმოდინამიკა, წონასწორობა პომოგენურ და ჰეტეროგენულ სისტემებში, არაელექტროლიტთა ხსნარები, ელექტროქიმია, ქიმიური კინეტიკა და კატალიზი.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, ასევე სასარგებლო იქნება სხვადასხვა სპეციალობის მაგისტრანტებისათვის. სახელმძღვანელო დაქმარება სტუდენტებს დამოუკიდებელ მუშაობაში და სარგებლობას მოუტანს ტესტების ამოხსნის უნარ-ჩვევების დაუფლებასა და ფიზიკური ქიმიის ათვისებაში.

რეცეზენტი ტ. მ. დ., სრული პროფესორი ა. სარუხანიშვილი

## **გინაარსი**

წინასიტყვაობა	4
I ნივთიერების აღნაგობა.....	5
II ქიმიური ოქროდინამიკა.....	21
III წონასწორობა პომოგენურ და პეტეროგენულ სისტემებში.....	45
IV არაელექტროლიტთა ხსნარები.....	64
V ელექტროქიმია.....	75
VI ქიმიური კინეტიკა და კატალიზი.....	83
პასუხები.....	91
ლიტერატურა.....	93

## წ ი ზ ა ს ი ტ ე გ ა თ ბ ა

სტუ-ს ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრა განათლების კანონის შესაბამისად ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე გარდაქმნათა ფორმატში ამზადებს სასწავლო მეთოდურ საინფორმაციო ბაზას, რომელიც ფიზიკურ და კოლოიდურ ქიმიაში ძირითადი სახელმძღვანელოს გარდა შეიცავს დამხმარე სახელმძღვანელოებსაც.

ავტორთა სურვილი იყო კითხვარის შედგენისას აქტიურად გამოეყენებინა მსოფლიოს წამყვან ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული გამოცდილება, როგორც ტესტების მეთოდოლოგიაში, ისე მის შინაარსობრივ დატვირთვაში.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო „ტესტები, ფიზიკურ და კოლოიდურ ქიმია“-ში განკუთვნილია ტექნოლოგიების ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, რათა შეძლონ თავიანთი ცოდნის შემოწმება მიმდინარე მასალის ათვისების დროს. ტესტები მოიცავს, როგორც წმინდა თეორიულ საკითხებს, ასევე საგარჯიშოებს. თითოეული ტესტისათვის მოცემულია 3 ან 4 პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხის გასაცემად სტუდენტმა უნდა შეისწავლოს პროგრამით გათვალისწინებული მასალა სახელმძღვანელოს ბოლოს რეკომენდირებული ლიტერატურის დახმარებით. საკონტროლო ტესტები არ მოიცავს ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის ყველა საკითხს, აქ მოყვანილია მხოლოდ ის კითხვები, რომლებიც შესაბამისობაშია ბაკალავრიატისათვის დამტკიცებულ სასწავლო პროგრამასთან.

I ნაწილში განხილულია ნივთიერების აღნაგობა, ქიმიური თერმოდინამიკა, წონასწორობა პომოგენურ დ პეტეროგენულ სისტემებში, არაელექტროლიტო ხსნარები, ელექტროქიმია, ქიმიური კინეტიკა და კატალიზი. სახელმძღვანელოს ბოლოს მოცემულია სწორი პასუხები, რათა სტუდენტმა შეძლოს თვითკონტროლი.

მოცემული სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს ბაკალავრიატის სტუდენტებს, როგორც შუასემესტრული ტესტირებისათვის, ასევე გამოცდისათვის მომზადებაში, იგი დაეხმარება მაგისტრანტებს, ასევე ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის პედაგოგებს.

## I. ნივთიერების აღნაგობა

- მასისა და ენერგიის ერთიანობას გამოსახავს
    - პლანკის განტოლება;
    - აინშტაინის განტოლება;
    - დე ბროილის განტოლება;
    - მოქმედ მასათა კანონი.
  - სხივური ენერგია გამოსხივდება დისკრეტულად კვანტების სახით. ამ დებულებას გამოსახავს
    - დე ბროილის განტოლება;
    - აინშტაინის განტოლება;
    - პლანკის განტოლება;
    - მოქმედ მასათა კანონი.
  - კვანტური თეორიის თანახმად სხივური ენერგია გამოსხივდება
    - უწყვეტად;
    - ტალღის სახით;
    - პორციობით, კვანტებით;
    - ზუსტად განსაზღვრული სიხშირით.
  - დე ბროილის განტოლების თანახმად მიკრონაწილაკებს აქვს
    - ტალღური და კორპუსკულური თვისებები;
    - ფიზიკური და ქიმიური თვისებები;
    - ელექტრული და მაგნიტური თვისებები;
    - ვალენტობა და მუხტი.
  - დე ბროილის განტოლების მათემატიკური გამოსახულებაა
    - $\lambda = \frac{h}{mv}$ ;
    - $\Delta q \cdot \Delta v \geq \frac{h}{m}$ ;
    - $E = mc^2$ ;
    - $E = hv$ .
  - ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპის თანახმად, შეუძლებელია ერთდროულად გაიზომოს მიკრონაწილაკების
    - სიჩქარე და მდებარეობა;
    - სიჩქარე და მუხტი
    - მდებარეობა და ელექტრული თვისებები;
    - მუხტი და ვალენტობა.
  - ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპის მათემატიკური გამოსახულებაა
    - $\lambda = \frac{h}{mv}$ ;
    - $\Delta q \cdot \Delta v \geq \frac{h}{m}$ ;
    - $E = mc^2$ ;
    - $E = hv$ .
  - ჰაიზენბერგის განუზღვრელობის პრინციპის მიხედვით რაც უფრო ზუსტადაა განსაზღვრული კოორდინატი, მით უფრო განუზღვრელი ხდება
    - მდებარეობა;
    - მასა;
    - სიჩქარე;
    - ენერგია.
  - რა მოვლენაში მუღავნდება სხივური ენერგიის ტალღური ხასიათი
    - გამოსხივება;
    - დიფრაქცია;

- ბ) შთანთქმა; დ) არეკვლა.
- 10. რა მოვლენაში მუდავნდება სინათლის სხივის კორპუსკულური თვისებები**
- ა) პოლარიზაცია; გ) დიფრაქცია;
- ბ) ინტერფერენცია; დ) გამოსხივება, შთანთქმა.
- 11. შრედინგერის ტალღური განტოლება ამყარებს კავშირს**
- ა) ატომში ელექტრონის ყოფნის ალბათობასა და მისი მუხტის სიდიდეს შორის;
- ბ) ტალღურ ფუნქციასა და ელექტრონის მაგნიტურ თვისებებს შორის;
- გ) ელექტრონის მოძრაობის სიჩქარესა და ელექტრულ თვისებებს შორის;
- დ) ტალღურ ფუნქციას ( $\psi$ ), ელექტრონის პოტენციურ ( $U$ ) და საერთო ( $E$ ) ენერგიებს შორის.
- 12. შრედინგერის ტალღური განტოლების მათემატიკური გამოსახულებაა**
- ა)  $\nabla \psi + \frac{8\pi^2 m}{h^2} (E - U) \psi = 0$ ; გ)  $\nabla \psi + \frac{8h}{\pi^2 mc^2} (E + U) \psi = 0$ ;
- ბ)  $\nabla \psi - \frac{h^2 \nu l}{8\pi^2 m} (E + U) \psi = 0$ ; დ)  $\nabla \psi - \frac{8h \nu}{mc^2} (E - U) \psi = 0$ .
- 13. ატომური ორბიტალი არის**
- ა) სივრცე ატომგულის ირგვლივ;
- ბ) ელექტრონი, რომელიც 4 კვანტური რიცხვით ხასიათდება;
- გ) სივრცე ატომგულის გარშემო, სადაც ელექტრონის ყოფნის ალბათობა მაქსიმალურია;
- დ) ელექტრონი, რომელიც ატომგულის გარშემო მოძრაობს.
- 14. პაულის პრინციპის თანახმად**
- ა) ატომში არ შეიძლება იყოს ორი ელექტრონი, რომელსაც ოთხივე კვანტური რიცხვი ერთნაირი ექნება.
- ბ) ატომში ორი ერთნაირი ელექტრონი არ არსებობს.
- გ) ატომში სპინკვანტური რიცხვების ჯამი მაქსიმალურია;
- დ) ატომში ელექტრონები ნაწილდება უმცირესი ენერგიების პრინციპით.
- 15. პუნდის წესის თანახმად**
- ა) ატომში არ შეიძლება იყოს ორი ელექტრონი, რომელსაც ოთხივე კვანტური რიცხვი ერთნაირი ექნება;
- ბ) ატომში მოცემულ ქვედონებები სპინკვანტური რიცხვების ჯამი მაქსიმალურია;
- გ) ატომში მოცემულ ქვედონებები სპინკვანტური რიცხვების ჯამი მინიმალურია;

დ) ატომში ელერქტრონები ნაწილდება უმცირესი ენერგიების პრინციპით.

**16. ელექტროუარყოფითობა ეწოდება**

- ა) იონიზაციისა და პოტენციური ენერგიების ჯამს;
- ბ) პოტენციური და კინეტიკური ენერგიების ჯამს;
- გ) კინეტიკური ენერგიისა და ელექტრონისადმი სწრაფვის ჯამს;
- დ) იონიზაციის ენერგიისა და ელექტრონისადმი სწრაფვის ჯამს.

**17. იონიზაციის და ელექტრონისადმი სწრაფვის ენერგიების ნახევარჯამი განსაზღვრავს**

- ა) ბმის ენერგიას;
- ბ) ელექტროუარყოფითობას;
- გ) ელექტროდადებითობას;
- დ) პოლარიზაციას

**18. იონური ბმა წარმოიქმნება**

- ა) ელემენტებს შორის, რომელთა ელექტროუარყოფითობები ერთნაირია;
- ბ) ელემენტებს შორის, რომელთა ელექტროუარყოფითობები ძლიერ განსხვავდება;
- გ) მეტალსა და არამეტალს შორის;
- დ) ელემენტებს შორის, რომელთა ელექტროუარყოფითობები მცირედ განსხვავდება.

**19. მიზიდულობის ენერგია იონურ ბმაში უდრის**

$$\begin{array}{ll} \text{ა)} E = \frac{8e^2}{9r_0} + (I^+ - I^-); & \text{გ)} E = \frac{8r_0}{9e^2} + (I^+ - I^-); \\ \text{ბ)} E = \frac{q_1}{\varepsilon R} + (I^+ - I^-); & \text{დ)} E = \frac{q_1 \cdot q_2}{\varepsilon R} + (I^+ - I^-). \end{array}$$

**20. კოვალენტური ბმაა**

- ა) ელექტრონული წყვილებით დამყარებული ბმა;
- ბ) იონებს შორის დამყარებული ბმა;
- გ) წყალბადსა და ძლიერ ელექტროუარყოფით ატომს შორის დამყარებული ბმა;
- დ) მეტალსა და არამეტალს შორის დამყარებული ბმა.

**21. კოორდინაციული (დონორულ-აქცეპტორული) ბმა მიეკუთვნება**

- ა) იონურ ბმას;
- ბ) კოვალენტურ ბმას;
- გ) წყალბადურ ბმას;
- დ) მეტალურ ბმას.

**22. წყალბადური ბმა აღიძვრება**

- ა) წყალბადის პროტონსა და ჟანგბადის ატომს შორის;

- ბ) წყალბადის პროტონსა და ძლიერ ელექტროუარყოფით ელემენტის ატომს შორის;
- გ) წყალბადის ატომებს შორის;
- დ) წყალბადის ატომსა და მეტალებს შორის პიდრიდებში.

**23. ლითონური ბმა წარმოიქმნება**

- ა) ლითონის იონების მიერ, განზოგადებული ელექტრონების მიზიდვის შედეგად;
- ბ) ძლიერ განსხვავებული ელექტროუარყოფითობის მქონე ატომებს შორის;
- გ) ლითონისა და არალითონის ატომებს შორის;
- დ) ერთნაირი ელექტროუარყოფითობის მქონე ატომებს შორის.

**24. მოლეკულის პოტენციური ენერგიის წირი გვიჩვენებს**

- ა) მანძილს ატომბირთვებს შორის და ბმის ენერგიას;
- ბ) მოლეკულათა შორისი ურთიერთქმედების ენერგიის დამოკიდებულებას პოლარობაზე;
- გ) მანძილს ატომბირთვსა და ელექტრონს შორის;
- დ) მოლეკულის თავისუფალ ენერგიასა და ატომის რადიუსს შორის დამოკიდებულებას.

**25. ქიმიური ბმა მყარდება, როდესაც ატომთა მიახლოებისას სრული ენერგია მიაღწევს**

- ა) მაქსიმუმს; ბ) უცვლელია; გ) მინიმუმს; დ) ნულს.

**26. მოლეკულის წარმოქმნისას მიზიდვისა და განზიდვის ძალთა ტოლქმედი**

- ა) დადებითია; გ) თანაბარია;
- ბ) ნულია; დ) უარყოფითია.

**27. მოლეკული ორბიტალი წარმოიქმნება მისი შემადგენელი ატომების**

- ა) იონური ორბიტალების გადაფარვით;
- ბ) ატომური ორბიტალების წრფივი კომბინაციით;
- გ) ატომბირთვების ურთიერთქმედებისას;
- დ) პროტონებისა და ნეიტრონების გადაფარვით.

**28. მაკავშირებელი მოლეკულური ორბიტალის წარმოქმნისას საერთო ენერგია**

- ა) იზრდება; ბ) მცირდება; გ) უცვლელია; დ) ნულის ტოლია.

**29. თუ გვაქვს მაკავშირებელი მოლეკულური ორბიტალი რა მოსდის ბირთვებს შორის მანძილს და ბმის ენერგიას**

- ა) მანძილი იზრდება, ბმის ენერგია მცირდება;

- ბ) მანძილი მცირდება, ბმის ენერგია იზრდება;  
გ) მანძილი იზრდება, ბმის ენერგია იზრდება;  
დ) მანძილი მცირდება, ბმის ენერგია მცირდება;
30. თუ გვაქვს გამთიშველი მოლეკულური ორბიტალი, რა მოსდის ბირთვებს შორის მანძილს და ბმის ენერგიას  
ა) მანძილი იზრდება, ბმის ენერგია იზრდება;  
ბ) მანძილი იზრდება, ბმის ენერგია მცირდება;  
გ) მანძილი მცირდება, ბმის ენერგია იზრდება;  
დ) მანძილი მცირდება, ბმის ენერგია მცირდება.
31. გამთიშველი მოლეკულური ორბიტალების წარმოქმნისას საერთო ენერგია  
ა) იზრდება;      ბ) მცირდება;      გ) უცვლელია;      დ) ნულის ტოლია.
32. მოლეკულური ორბიტალების შევსება ექვემდებარება  
ა) უმცირესი ენერგიების პრინციპს;      გ) ჰუნდის წესს;  
ბ) პაულის პრინციპს;      დ) ჯიბსის ფაზათა წესს
33. S ატომური ორბიტალების დადებითი გადაფარვა რავა მიიღება როდესაც S ატომური ორბიტალების ტალღურ ფუნქციებს  
ა) სხვადასხვა ნიშანი აქვს;      გ) ერთნაირი ენერგიები აქვს;  
ბ) ერთნაირი ნიშანი აქვს;      დ) ნულის ტოლი ენერგიები აქვს.
34. S ატომური ორბიტალების უარყოფითი გადაფარვა რავა მიიღება, როდესაც S ატომური ორბიტალის ტალღურ ფუნქციებს  
ა) სხვადასხვა ნიშანი აქვს;      გ) ერთნაირი ენერგიები აქვთ;  
ბ) ერთნაირი ნიშანი აქვს;      დ) ნულის ტოლი ენერგიები აქვს.
35. მოლეკულის ბმის რიგის დასადგენად უნდა ვიცოდეთ  
ა) ელექტრონების რიცხვი მაკავშირებელ და გამთიშველ ორბიტალებზე;  
ბ) მაკავშირებელ ორბიტალზე ელექტრონების რიცხვი;  
გ) გამთიშველ ორბიტალზე არსებული ელექტრონების რიცხვი;  
დ) ელექტრონების ვალენტობა.
36. მოლეკულის წარმოსაქმნელად  
ა) მაკავშირებელი ორბიტალების რიცხვი უნდა აღემატებოდეს გამთიშველი ორბიტალების რიცხვს;  
ბ) გამთიშველი ორბიტალების რიცხვი უნდა აღემატებოდეს მაკავშირებელი ორბიტალების რიცხვს;  
გ) მაკავშირებელი ორბიტალების რიცხვი ტოლი უნდა იყოს გამთიშველი

ორბიტალების რიცხვისა;

დ) მაკავშირებელი ორბიტალების რიცხვი ნულის ტოლი უნდა იყოს.

37 ბმის რიგი ტოლია

- ა) გამთიშველ და მაკავშირებელ ორბიტალებზე არსებული ელექტრონების რიცხვის ჯამის;
  - ბ) მაკავშირებელ და გამთიშველ ორბიტალებზე არსებული ელექტრონების რიცხვის სხვაობის;
  - გ) მაკავშირებელ და გამთიშველ ორბიტალებზე არსებული ელექტრონების რიცხვის ნახევარსხვაობის;
  - დ) მაკავშირებელ და გამთიშველ ორბიტალებზე არსებული ელექტრონების რიცხვის ნახევარჯამის;

### 38. პოლარიზაცია ექიმი

- ა) ცვლილებას, რომელსაც მოღეკულაში ტემპერატურის გაზრდა იწვევს;

ბ) ცვლილებას რომელსაც გარე ელექტრული ან მაგნიტური ველი იწვევს;

გ) ცვლილებას, რომელსაც იონთა ურთიერთქმედება იწვევს;

დ) ცვლილებას, რომელსაც კოვალენტური ბმის წარმოქმნის დროს აქვს ადგიოლი.

### 39. የአ በቻዎች ስርዓት አገልግሎት

- ა) გარე ელექტრული ან მაგნიტური ველი; ბ) ტემპერატურა;  
ბ) ქიმიური ბმა; გ) წნევა.

40. መრიუნტაკიული პოლარიზაცია განპირობებულია

- ა) მოლეკულაში ატომთა წანაცვლებით;
  - ბ) ელექტრულ გელში მოლეკულების ორიენტაციით;
  - გ) იონების წანაცვლებით ერთმანეთის მიმართ;
  - დ) ელექტრონის წანაცვლებით ატომბირთვის მიმართ.

41. የጥიግኝናኔንግዥ በመሆኑ ስርጓዱ የሚከተሉት ደንብ አለበት

- ა) მხოლოდ არაპოლარული მოლეკულებისათვის;
  - ბ) მხოლოდ პოლარული მოლეკულებისათვის;
  - გ) არალითონის მოლეკულებისათვის;
  - დ) პოლარული და არაპოლარული მოლეკულებისათვის.

42. ແກ່ງອນຮມຊີໂງລື ປ່ອລາຮັດໃຫຍ້ວິວ ແກ້ມາເກົສໄວຕ່າງໆທີ່ຈະ

- ა) მხოლოდ არაპოლარული მოლეკულებისათვის;  
ბ) მხოლოდ პოლარული მოლეკულებისათვის;

- გ) პოლარული და არაპოლარული მოლეკულებისათვის;  
 დ) არალითონის მოლეკულებისათვის.

**43. ატომური პოლარიზაცია გამოწვეულია**

- ა) იონების წანაცვლებით ერთმანეთის მიმართ;  
 ბ) მოლეკულაში ატომთა წანაცვლებით;  
 გ) ელექტრონების წანაცვლებით ატომბირთვის მიმართ;  
 დ) ელექტრულ ველში მოლეკულის ორიენტაციით.

**44. ელექტრონული პოლარიზაცია გამოწვეულია**

- ა) მოლეკულის ბრუნვით ელექტრულ ან მაგნიტურ ველში;  
 ბ) ატომების წანაცვლებით ერთმანეთის მიმართ;  
 გ) ელექტრონების წანაცვლებით ატომბირთვის მიმართ;  
 დ) იონების წანაცვლებით ერთმანეთის მიმართ იონურ კრისტალებში.

**45. სრული პოლარიზაცია გამოისახება ფორმულით**

- |   |   |
|---|---|
| ა) $\Pi = \Pi_{\text{ორ}} + \Pi_{\text{ინგ}} + \Pi_{\text{დისპ}}$ ;                 | გ) $\Pi = \Pi_{\text{გამ}} + \Pi_{\text{ანიო}}$ ;         |
| ბ) $\Pi = \Pi_{\text{ორ}} + \Pi_{\text{აგ}} + \Pi_{\text{ელ}} + \Pi_{\text{იონ}}$ ; | დ) $\Pi = \Pi_{\text{აგ}} + \Pi_{\text{ჯერადი ბმების}}$ . |

**46. დიპოლური მომენტი საზომია მოლეკულის**

- |                |               |
|----------------|---------------|
| ა) სინადობის;  | გ) პოლარობის; |
| ბ) გამტარობის; | დ) ვალენტობის |

**47. დიპოლური მომენტი ტოლია**

- ა)  $\mu = mc^2$       ბ)  $\mu = el$ ;      გ)  $\mu = e^2 r$ ;      დ)  $\mu = hv$ .

**48. ელექტრული პოლარიზაციის საზომია**

- |                      |                       |
|----------------------|-----------------------|
| ა) დიპოლური მომენტი; | გ) რეფრაქცია;         |
| ბ) ელგამტარობა;      | დ) მოლური პოლარიზაცია |

**49. რეფრაქცია ეწოდება**

- ა) ნივთიერებაში ხილული სინათლის გავლისას აღძრულ ელექტრონულ პოლარიზაციას;  
 ბ) ნივთიერებაში ხილული სინათლის გავლისას აღძრულ ატომურ პოლარიზაციას;  
 გ) ნივთიერებაში ხილული სინათლის გავლისას აღძრულ ორიენტაციულ პოლარიზაციას;  
 დ) მაგნიტური ვეილს მოქმედებით აღძრულ პოლარიზაციას;

## 50. მოლური რეფრაქციაა

- ა) ნივთიერების ერთ მოლში არსებული ( $N=6,02 \times 10^{23}$ ) მოლეკულების მოცულობათა ჯამი;
- ბ) ერთ გრამმოლეკულაში არსებული მოლეკულების რიცხვი;
- გ) ერთი გრამმოლეკულის წონა;
- დ) ნივთიერების ერთი გრამმოლეკულის შიგა ენერგია.

## 51. გუთრი რეფრაქციაა

- ა) ნივთიერების ერთ გრამში არსებული ყველა მოლეკულის მოცულობათა ჯამი;
- ბ) ნივთიერების ერთ გრამში არსებული მოლეკულების რიცხვი;
- გ) ერთი გრამი ნივთიერების სითბოტევადობა;
- დ) ერთი გრამი ნივთიერების შიგა ენერგია.

## 52. რეფრაქცია არსებობს

- ა) ორიენტაციული, იონური; გ) ატომური, ინდუციური;
- ბ) მოლეკულური გუთრი; დ) დისპერსული, ელექტრული;

## 53. რეფრაქცია გამოწვეულია

- ა) ნივთიერებაში სილული სინათლის გავლით;
- ბ) ნივთიერების მაგნიტური თვისებებით;
- გ) ნივთიერების იონიზაციით;
- დ) ბრუნვითი ენერგიის აგზნებით.

## 54. მოლულური რეფრაქცია გამოითვლება ფორმულით

$$\begin{array}{ll} \text{ა)} R = \frac{n^2 + 2}{n^2 + 1} \cdot \frac{M}{\rho}; & \text{ბ)} R = \frac{n^2 - 1}{n^2 - 2} \cdot \frac{1}{\rho}; \\ \text{გ)} R = \frac{n^2 - 1}{n^2 + 2} \cdot \frac{M}{\rho}; & \text{დ)} R = \frac{n^2 + 1}{n^2 + 2} \cdot \frac{1}{\rho}. \end{array}$$

## 55. გუთრი რეფრაქცია გამოითვლება ფორმულით

$$\begin{array}{ll} \text{ა)} r = \frac{n^2 - 1}{n^2 + 2} \cdot \frac{1}{\rho}; & \text{ბ)} r = \frac{n^2 - 1}{n^2 - 2} \cdot \frac{\mu}{\rho}; \\ \text{გ)} r = \frac{n^2 + 1}{n^2 - 2} \cdot \frac{1}{R}; & \text{დ)} r = \frac{n^2 + 2}{n^2 + 1} \cdot \frac{1}{\rho}. \end{array}$$

## 56. მოლულური რეფრაქციის განზომილებაა

- ა)  $\frac{1}{\rho}$ ; ბ)  $\frac{1}{\rho^2}$ ; გ)  $\frac{1}{\rho}$ ; დ)  $\frac{1}{\rho^3}$

57. კუთრი რეფრაქციის განზომილებაა

- ა)  $\frac{1}{r^3}$ / მოლი; ბ) დებაი გ)  $\frac{1}{r^3}/\rho$ ; დ) კულონი/მოლი

58. როგორ მივიღოთ კუთრი რეფრაქცია თუ ცნობილია მოლური რეფრაქცია

- ა)  $r = R \cdot M$  გ)  $r = R + M$

ბ)  $r = \frac{R}{M}$  დ)  $r = R - M$

59. როგორ მივიღოთ მოლური რეფრაქცია თუ ცნობილია კუთრი რეფრაქცია

- ა)  $R = r \cdot M$ ; გ)  $R = r + M$ ;

- ბ)  $R = r / M$ ; დ)  $R = r - M$ .

60. რომელი პოლარიზაციის საზომია მოლური რეფრაქცია

- ა) ელექტრონული; გ) ატომური;

- ბ) ორიენტაციული; დ) დეფორმაციული;

61. მოლური რეფრაქცია არის

- ა) ექსტენსიური სიდიდე; გ) ადიტიური სიდიდე;

- ბ) პარციალური სიდიდე; დ) იზოტონური სიდიდე.

62. მოლექულათაშორის ურთიერთქმედებას გამოსახავს

- ა) კულონის ძალები; გ) ქიმიური ძალები;

- ბ) მაგნიტური ძალები; დ) ვან-დერ-ვაალსის ძალები.

63. მოლექულათაშორის ურთიერთქმედებას ასახავენ

- ა) იონური და კოვალენტური ბმები;

- ბ) კოვალენტური და კოორდინაციული ბმები;

- გ) წყალბადური ბმა და ვან-დერ-ვაალსური ძალები;

- დ) წყალბადური და კოვალენტური ბმები.

64. მოლექულათაშორის დისპერსიული ურთიერთქმედება აისახება

- ა) მუდმივი დიპოლებით; გ) დროებითი დიპოლებით;

- ბ) მყისიერი დიპოლებით; დ) ინდუცირებული დიპოლებით

65. მოლექულათაშორისი მიზიდვის სრული ენერგიაა

ა)  $E_{\text{მო.}} = \frac{n}{r^3}$ ; გ)  $E_{\text{მო.}} = \frac{n}{r^{12}}$ ;

ბ)  $E_{\text{მო.}} = -\frac{n}{r^6}$ ; დ)  $E_{\text{მო.}} = \frac{n}{r^2}$ .

**66. მოლექულათა შორისი განზიდვის სრული ენერგიაა**

ა)  $E_{\text{განზ.}} = \frac{m}{r^2};$  ბ)  $E_{\text{განზ.}} = \frac{m}{r^{12}};$

ბ)  $E_{\text{განზ.}} = -\frac{m}{r^{12}};$  ღ)  $E_{\text{განზ.}} = \frac{m}{r^3}.$

**67. მოლექულათა შორის მიზიდვის სრული ენერგიაა**

ა)  $E_{\text{მიზ.}} = E_{\text{ფის.}} + E_{\text{ოონ.}}$  ბ)  $E_{\text{მიზ.}} = E_{\text{საერთო}} + U.$

ბ)  $E_{\text{მიზ.}} = E_{\text{ოო.}} + E_{\text{ინდ.}} + E_{\text{ფის.}}$  ღ)  $E_{\text{მიზ.}} = \Delta U + P\Delta V$

**68. მოლექულათა შორისი ურთიერთქმედების სრული ენერგია გამოისახება**

ა)  $E = \frac{m}{r^{12}} + \frac{n}{r^3};$  ბ)  $E = -\frac{m}{r^{12}} + \frac{n}{r^4};$

ბ)  $E = -\frac{m}{r^6} + \frac{n}{n^{12}};$  ღ)  $E = -\frac{m}{r^{12}} + \frac{n}{r^6}.$

**69. ორიენტაციული მიზიდვის ძალები მოლექულებს შორის აღიძვრება**

ა) პოლარული და არაპოლარული მოლექულების ურთიერთქმედებით;

ბ) არაპოლარული მოლექულების ურთიერთქმედებით;

გ) მუდმივი დიპოლების ურთიერთქმედებით;

დ) იონური და არაპოლარული ნაერთების ურთიერთქმედებით.

**70. ინდუცირებული მიზიდვის ძალები აღიძვრება**

ა) მუდმივი დიპოლების ურთიერთქმედებით;

ბ) პოლარული და არაპოლარული მოლექულების ურთიერთქმედების დროს;

გ) არაპოლარული მოლექულების ურთიერთქმედების დროს;

დ) საპირისპირო მუხტის მქონე იონების ურთიერთქმედების დროს.

**71. დისპერსიული მიზიდვის ძალები აღიძვრება**

ა) მუდმივი დიპოლების ურთიერთქმედებით;

ბ) პოლარული და არაპოლარული მოლექულების ურთიერთქმედების დროს;

გ) არაპოლარული მოლექულების ურთიერთქმედების დროს;

დ) საპირისპირო მუხტის მქონე იონების ურთიერთქმედების დროს.

**72. ინდუცირებული მიზიდვის ენერგია გამოისახება**

ა)  $E_{\text{ინდ.}} = -\frac{2\mu^2\alpha}{r^6};$  ბ)  $E_{\text{ინდ.}} = -\frac{2\mu_1^2 \cdot \mu_2^2}{3r^6} \cdot \frac{1}{kT};$

ბ)  $E_{\text{ინდ.}} = -\frac{3\alpha^2}{4r^6} I_0;$  ღ)  $E_{\text{ინდ.}} = \frac{mc^2}{h\nu}.$

73. ორიენტაციული მიზიდვის ენერგია გამოისახება

$$\begin{array}{ll} \text{ა) } E_{\text{ორ}} = -\frac{2\mu^2\alpha}{r^6}; & \text{ბ) } E_{\text{ორ}} = -\frac{2\mu_1^2 \cdot \mu_2^2}{3r^6} \cdot \frac{1}{kT}; \\ \text{გ) } E_{\text{ორ}} = \frac{\mu_1^2 \cdot \mu_2^2}{r^{12}}; & \text{დ) } E_{\text{ორ}} = -\frac{3}{4} \cdot \frac{\alpha^2}{r^6} I_0. \end{array}$$

74. დისპერსიული მიზიდვის ენერგია გამოისახება

$$\begin{array}{ll} \text{ა) } E_{\text{დის}} = -\frac{2\mu^2\alpha}{r^6}; & \text{ბ) } E_{\text{დის}} = -\frac{3}{4} \cdot \frac{\alpha^2}{r^6} I_0; \\ \text{გ) } E_{\text{დის}} = -\frac{2\mu_1^2 \cdot \mu_2^2}{3r^6} \cdot \frac{1}{kT}; & \text{დ) } E_{\text{დის}} = \frac{\mu_1^2 \cdot \mu_2^2}{r^{12}}. \end{array}$$

75. სპექტროსკოპია არსებობს

- |                           |                                |
|---------------------------|--------------------------------|
| ა) ატომური და მოლეკულური; | გ) ორიენტაციული და ინდუქციური; |
| ბ) იონური და ელექტრონული; | დ) დისპერსიული და გამთიშველი.  |

76. გამოსხივებული ან შთანთქმული ენერგია ტოლია

$$\begin{array}{ll} \text{ა) } E = N_A h v c; & \text{ბ) } E = m c; \\ \text{გ) } E = N_A h c; & \text{დ) } E = N_A m c. \end{array}$$

77. გამოსხივების სპექტრი მდებარეობს სპექტრის

- |   |   |
|---|---|
| ა) მიკროტალღურ, ხილულ და რადიოტალღების უბანში;      | ბ) ულტრაიისფერ, ხილულ, ინფრაწითელ უბანში;         |
| გ) რენტგენის, $\gamma$ , კოსმოსური ტალღების უბანში; | დ) $\gamma$ , რადიო ტალღების, ინფრაწითელ უბანში.. |

78. მოლეკულას გააჩნია შემდეგი მოძრაობების ენერგიები

$$\begin{array}{ll} \text{ა) } E_{\text{ბრ}}, \quad E_{\text{რხ}}, \quad E_{\text{ელ}}; & \text{ბ) } E_{\text{მოლ}}, \quad E_{\text{გან}}, \quad E_{\text{არამოლ}}; \\ \text{გ) } E_{\text{მოლ}}, \quad E_{\text{ოონ}}, \quad E_{\text{ატ}}; & \text{დ) } E_{\text{ინდ}}, \quad E_{\text{დის}}, \quad E_{\text{ორიე}}. \end{array}$$

79. სპექტრის რომელ უბანში თავსდება რხევითი სიხშირეები

- |  |   |
|--|---|
| ა) მოკლეტალღურ ინფრაწითელ და ხილულ უბანში; | ბ) ხილულ და ულტრაიისფერ უბანში;             |
| გ) მიკროტალღურ უბანში;                     | დ) შორეულ ინფრაწითელ და მიკროტალღურ უბანში. |

80. სპექტრის რომელ უბანში თავსდება ბრუნვითი სიხშირეები

- |  |                                 |
|--|---------------------------------|
| ა) მოკლეტალღურ ინფრაწითელ და ხილულ უბანში; | ბ) ხილულ და ულტრაიისფერ უბანში; |
|--|---------------------------------|

- გ) რენტგენის სხივების უბანში;
- დ) შორეულ ინფრაწითელ და მიკროტალდურ უბანში.

**81. სპექტრის რომელ უბანში თავსდება ელექტრონული სისტირეები**

- ა) მოკლეტალდურ ინფრაწითელ და ხილულ უბანში;
- ბ) ხილულ და ულტრაიისფერ უბანში;
- გ) რადიოტალდების უბანში;
- დ) შორეულ ინფრაწითელ და მიკროტალდურ უბანში.

**82. რაოდენობითი სპექტრული ანალიზი ემყარება შთანთქმული ენერგიის სიდიდის დამოკიდებულებას**

- ა) მშთანთქმელი მოლეკულების იონიზაციის უნარზე;
- ბ) მშთანთქმელი მოლეკულების სითბოტევადობაზე;
- გ) გარემო არის ტემპერატურაზე;
- დ) მშთანთქმელი მოლეკულების რიცხვზე.

**83. სპექტრი წარმოადგენს გრაფიკს**

- ა) ტალღის სიგრძის (სისტირის) დამოკიდებულებისა ნივთიერების მოლეკულურ წონასთან;
- ბ) ტალღის სიგრძის (სისტირის) დამოკიდებულებისა გამტარობაზე (შთანთქმის ინტესიურობაზე);
- გ) შთანთქმის ინტენსიურობის დამოკიდებულებისა სინათლის სიჩქარესთან;
- დ) დიელექტრიკული შეღწევადობის დამოკიდებულებისა სინათლის სიჩქარესთან.

**84. ლამბერტ-ბერის კანონი გამოსახავს**

- ა) შთამნთქმელი მოლეკულების რიცხვის დამოკიდებულებას შთანთქმული ენერგიის ინტესიურობასთან;
- ბ) შთანთქმული ენერგიის დამოკიდებულებას შთამნთქმელი მოლეკულების დიელექტრიკულ შეღწევადობასთან;
- გ) შთამნთქმელი მოლეკულების რიცხვის დამოკიდებულებას გარემოს ტემპერატურასთან;
- დ) შთამნთქმელი მოლეკულების დამოკიდებულებას მათ პოლარიზაციასთან.

**85. რა სიდიდებზეა დამოკიდებული შთამნთქმელი ნივთიერების ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე ინერტულ არაშთამნთქმელ გამხსნელში**

- ა) კონცენტრაციაზე, ტალღის სიგრძეზე, შთამნთქმელი ნივთიერების ბუნებაზე, გამხსნელზე;

- ბ) შთამნოქმედის შრის სისქეზე და შთამნოქმედი ნივთიერების ბუნებაზე;  
 გ) შთამნოქმედი ნივთიერების ბუნებაზე, მის კონცენტრაციასა და  
 შთამნოქმედი შრის სისქეზე;  
 დ) შთამნოქმედი ნივთიერების ბუნებაზე, ტალღის სიგრძეზე, კონცენტრა-  
 ციაზე, შთამნოქმედი შრის სისქეზე.

**86. ლამბერტ-ბერის კანონი გამოისახება**

$$\begin{array}{ll} \text{ა) } \frac{dI}{I^2} = Kecl; & \text{გ) } \frac{dI}{I} = D; \\ \text{ბ) } \frac{dI}{I} = -KCdx; & \text{ღ) } \frac{dI}{I} = -mc^2. \end{array}$$

**87. ლამბერტ-ბერის კანონის ლოგარითმული ფორმაა**

$$\begin{array}{ll} \text{ა) } \lg \frac{I_0}{I} = -\varepsilon cd; & \text{გ) } \lg \frac{I_0}{I} = -\frac{h\nu}{V}; \\ \text{ბ) } \lg \frac{I}{I_0} = \varepsilon c^2 d; & \text{ღ) } \lg \frac{I}{I_0} = \frac{h}{m\lambda}. \end{array}$$

**88. ლამბერტ-ბერის კანონი მართებულია ნებისმიერი სისქის ფენისათვის როცა  
 გახსნილი ნივთიერება**

- ა) არ არის აირად ან თხევად მდგომარეობაში;  
 ბ) განიცდის დისოციაციას ან ასოციაციას;  
 გ) არის აირად ან თხევად მდგომარეობაში;  
 ღ) არ განიცდის დისოციაციას ან ასოციაციას.

**89. ინფრაჭითელი სპექტრი აფიქსირებს**

- ა) მოლეკულის რხევითი და ბრუნვითი ენერგიების ცვლილებას;  
 ბ) მოლეკულის მიზიდვის და განზიდვის ენერგიების ცვლილებას;  
 გ) მოლეკულის კინეტიკური და პოტენციური ენერგიების ცვლილებას;  
 ღ) მოლეკულის შიგა და თავისუფალი ენერგიების ცვლილებას.

**90. მოლეკულის ბრუნვითი ენერგია გამოისახება**

$$\begin{array}{ll} \text{ა) } E_{\delta\text{R}} = \frac{h}{m\lambda}(V + \frac{1}{2}); & \text{გ) } E_{\delta\text{R}} = \frac{h^2}{8\pi^2 i} J(J+1); \\ \text{ბ) } E_{\delta\text{R}} = h\nu_0(J + \frac{1}{2}); & \text{ღ) } E_{\delta\text{R}} = \frac{\mu_1^2 \cdot \mu_2^2}{r^6} \cdot \frac{1}{RT}. \end{array}$$

**91 მოლეკულის რხევითი ენერგია გამოისახება**

$$\text{ა) } E_{\text{რb}} = \frac{h}{m\lambda}(V + \frac{1}{2}); \quad \text{გ) } E_{\text{რb}} = \frac{h^2}{8\pi^2 i} J(J+1);$$

$$\text{d)} \quad E_{\text{orb}} = \left( V + \frac{1}{2} \right) h \nu_0; \quad \text{g)} \quad E_{\text{orb}} = \frac{\mu_1^2 \cdot \mu_2^2}{r^6} \cdot \frac{1}{RT}.$$

92. რომელ უბანშია ბრუნვითი მოძრაობის შთანთქმის სპეცირი

- ა) ინფრაწითელ და ხილულში;
  - ბ) ხილულ და ულტრაიისფერში;
  - გ) შორეულ ინფრაწითელ და მიკროტალდურში;
  - დ) ულტრაიისფერ და ხილულში.

93. რით აიხსნება მხოლოდ (P და R ) შტოს წარმოქმნა ორატომიანი

## მოლეკულის რხევით ბრუნვით სპექტრში

- ა) რეგების ანარმონიულობით;
  - ბ) ბრუნვითი მდგომარეობის ცვლილებისას შერჩევის წესით  $\Delta j = \pm 1$ ;
  - გ) ერთი შტო შეესაბამება მოლებულის ნორმალურ მდგომარეობას მეორე კი აგზნებულ მდგომარეობას;
  - დ) მოლებულის სტრუქტურაში პოლარული ბმების არსებობით.

94. ინერციის მომენტის საშუალებით შეიძლება გამოვთვალოთ

- ა) მოლეკულის პოლარიზაცია; გ) შთანთქმის ინტესიურობა;  
ბ) ატომბირთვთა შორის მანძილი; დ) იონიზაციის ენერგია .

95. N ატომისაგან შემდგარი წრფივი მოლეკულის ძირითადი რხევების რიცხვია

- ж)  $3N + 5$ ;      ж)  $3N - 6$ ;      ж)  $3N - 5$ ; ;      ж)  $3N + 6$ .

96. N ატომისაგან შემდგარი არაწრფივი მოლეკულის ძირითადი რხევების რიცხვია



97. የዕለጊስ ጽልፍና ስምምነት ተረጋግጧል

- ა) დაცემული სხივის სიხშირე გაბნეული სხივის სიხშირეზე მეტია;
  - ბ) დაცემული სხივის სიხშირე გაბნეული სხივის სიხშირეზე ნაკლებია;
  - გ) დაცემული სხივის სიხშირე გაბნეული სხივის სიხშირის ტოლია;
  - დ) დაცემული სხივის სრული შთანთქმა ხდება.

98. სტოქსის ხაზის სიხშირე ძირითად სიხშირეზე

- ა) ნაკლებია;  
ბ) მეტია;  
გ) ზედდება ხდება.

99. ანტისტოქსის ხაზის სიხშირე ძირითად სიხშირეზე

- ა) ნაკლებია;  
ბ) მეტია;  
გ) ტოლია;  
დ) ზედდება ხდება.

**100. კომბინაციური გაბნევის სპექტრში გვაქვს**

- ა) ერთი სიხშირის შესაბამისი ხაზი;  
ბ) ორი სიხშირის შესაბამისი ხაზი;  
გ) სამი სიხშირის შესაბამისი ხაზი;  
დ) ოთხი სიხშირის შესაბამისი ხაზი.

**101. სტოქსის და ანტისტოქსის ხაზების ინტენსიურობებს შორის როგორი**

**დამოკიდებულებაა.**

- ა) სტოქსის ხაზის ინტენსიურობა მეტია ანტისტოქსის ხაზთან შედარებით;  
ბ) სტოქსის ხაზის ინტენსიურობა ნაკლებია ანტისტოქსის ხაზთან  
შედარებით;  
გ) სტოქსის ხაზის ინტენსიურობა ტოლია ანტისტოქსის ხაზის  
ინტენსიურობის;  
დ) ანტისტოქსის ხაზის ინტენსიურობა ნაკლებია სტოქსის ხაზის  
ინტენსიურობაზე.

**102. ორატომიანი აირის კომბინაციური გაბნევის სპექტრში შეიმჩნევა სამი ხაზი:**  
**სტოქსის (ფს), ანტისტოქსის (ფა) და ძირითადი სიხშირის (ფპ). განალაგეთ ეს**  
**ხაზები სიხშირის ზრდის მიხედვით**

- ა)  $\omega_s < \omega_d < \omega_p$ ;      გ)  $\omega_s < \omega_p < \omega_d$ ;  
ბ)  $\omega_d < \omega_s < \omega_p$ ;      დ)  $\omega_p < \omega_d < \omega_s$ .

**103. ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსით ხდება შესწავლა**

- ა) მოლეკულების;      გ) იონების;  
ბ) ატომბიროვის;      დ) რადიკალების.

**104. ეპრ სპექტრში I სპინის მქონე n ბირთვიან გაუწყვილებელი ელექტრონის**  
**მოქმედებისას პიკების რიცხვი სპექტრში ტოლია**

- ა)  $nI + 2$ ;      გ)  $2nI + 3$ ;  
ბ)  $2nI + 1$ ;      დ)  $nI + 4$ .

**105. ვულფ-ბრეგის პირობის თანახმად**

- ა) რენტგენის სხივის დაცემის ქუთხე, რომლის დროსაც ხდება არეავლა არ  
არის დამოკიდებული დაცემული სხივის ტალღის სიგრძეზე;  
ბ) რენტგენის სხივის დაცემის ქუთხე, რომლის დროსაც ხდება არეავლა

დამოკიდებულია დაცემული სხივის ტალღის სიგრძეზე;

- გ) რენტგენის სხივის დაცემის პუთხე პროპორციულია არეპლილი სხივის  
ინტენსიურობისა;

დ) რენტგენის სხივის დაცემის პუთხე არ არის დამოკიდებული არეპლილი  
სხივის ინტენსიურობაზე.

106. კულტ-ბრეგის პირობის თანახმად, რენტგენის სხივის დაცემის კუთხე რომლის დროსაც ხდება არეკვლა, დამოკიდებულია დაცემული სხივის ტალღის სიგრძეზე

- ð)  $n\lambda = mc^2 \operatorname{tg}\phi$ ;      ð)  $n\lambda = -\sin\phi$ ;

107. რა ფაქტორები მოქმედებენ შთანთქმის კოეფიციენტზე ე წონასწორულ  
შთამნთქმელ სისტემაში

- ა) ტემპერატურა და კონცენტრაცია;
  - ბ) ტემპერატურა და ტალღის სიგრძე;
  - გ) შთამნოქმედი ფენის სისქე და კონცენტრაცია;
  - დ) ტალღის სიგრძე და სიხშირე.

### 108. საკოორდინაციო რიცხვების განსაზღვრავს

- ♂)  $r_o/r_s$ ; ♂)  $r_s/r_o$ ;  
 ♂)  $r_s/r_d$ ; ♂)  $r_d/r_s$ ;

109. კრისტალში პოლიედრები ერთმანეთს უერთდებიან

- ა) წვეროებით; ბ) წიბოებით; გ) წახნაგებით; დ) ფუძეებთ.

### 110. ქათიონ-ანიონის ბმის ძალა უდრის

- g)  $F = hv/n$ ; g)  $F = v \cdot n$ .

111. იდეალურ იონურ კრისტალებს გიხილავთ, როგორც

- ა) ხისტ ბირთვებს;
  - ბ) პოლიედრებს, რომელთა წვეროებში კათიონებია, ხოლო ცენტრში – ანიონი;
  - გ) პოლიედრებს, რომელთა წვეროებში ანიონებია, ხოლო ცენტრში – კათიონი;
  - დ) პოლიედრებს, რომელთა წიბოებზე მხოლოდ კათიონებია განლაგებული.

## **II. ქიმიური ოერმოდინამიკა**

### **1.. სისტემა ეწოდება**

- ა) მატერიალური სამყაროს ნაწილს, რომელიც ჩვენი დაკვირვების ან კვლევის ობიექტს შეადგენს;
- ბ) სამყაროს იმ ნაწილებს, რომელთაც თანაბარი ტემპერატურა აქვთ;
- გ) საგანთა ერთობლიობას, რომლებიც ასრულებენ მუშაობას;
- დ) საგანთა ერთობლიობას, რომლებიც ერთნაირ აგრეგატულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

### **2. სისტემა იზოლირებულია, თუ იგი**

- ა) ახდენს გარემოსთან ენერგიის და ნივთიერებათა ცვლას;
- ბ) არ ახდენს გარემოსთან ენერგიის და ნივთიერებათა ცვლას;
- გ) ახდენს გარემოსთან მხოლოდ ენერგიის ცვლას;
- დ) ახდენს გარემოსთან მხოლოდ ნივთიერებების ცვლას.

### **3. სისტემას ეწოდება დახურული თუ იგი გარემოსთან**

- ა) არ ახდენს არც ნივთიერების არც ენერგიის ცვლას;
- ბ) არ ახდენს ნივთიერებათა მიმოცვლას, მაგრამ შეუძლია ენერგიის გაცვლა;
- გ) არ ახდენს ენერგიის ცვლას;
- დ) ახდენს ენერგიის და ნივთიერებების ცვლას.

### **4. სისტემას ეწოდება ღია თუ იგი გარემოსთან**

- ა) არ ახდენს არც ნივთიერების და არც ენერგიის ცვლას;
- ბ) არ ახდენს ნივთიერებათა მიმოცვლას, მაგრამ შეუძლია ენერგიის ცვლა;
- გ) არ ახდენს ენერგიის ცვლას;
- დ) ახდენს ენერგიის და ნივთიერებების ცვლას.

### **5. სისტემა პომოგენურია, თუ**

- ა) მის შიგნით არ არის თვისებებით და შედგენილობით განსხვავებული ნაწილაკების გამყოფი ზედაპირები;
- ბ) მის შიგნით არის თვისებებით და შედგენილობით განსხვავებული ნაწილაკების გამყოფი ზედაპირები;
- გ) იგი ერთი სახის მოლექულებისაგან შედგება;
- დ) იგი შედგება ერთნაირ აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი ნივთიერებებისაგან.

## **6. სისტემა ჰეტეროგენულია, თუ**

- ა) მის შიგნით არ არის თვისებებით და შედგენილობით განსხვავებული ნაწილაკების გამყოფი ზედაპირები;
- ბ) მის შიგნით არის თვისებებით და შედგენილობით განსხვავებული ნაწილაკების გამყოფი ზედაპირები;
- გ) იგი სხვადასხვა სახის მოლექულებისაგან შედგება;
- დ) მის შემადგენელ ნივთიერებებს სხვადასხვა ტემპერატურა აქვთ.

## **7. ფაზა არის**

- ა) ერთი სახის მოლექულებისაგან შემდგარი სისტემა;
- ბ) სისტემის პომოგენური ნაწილების ერთობლიობა, რომლებიც ერთნაირია შედგენილობით, ქიმიური და ფიზიკური თვისებებით და სისტემის დანარჩენი ნაწილებისაგან გამყოფილია გამყოფი ზედაპირით.
- გ) სისტემის შემადგენელი ნაწილები, რომელთაც ერთნაირი აგრეგატული მდგომარეობა აქვთ;
- დ) სისტემის შემადგენელი ნაწილები, რომელთაც გარკვეული მოცულობა და ერთნაირი ტემპერატურა აქვთ.

## **8. ექსტენსიურია თვისებები, რომლებიც ნივთიერების რაოდენობაზე**

- ა) დამოკიდებულია; გ) გარკვეულ პირობებშია დამოკიდებული;
- ბ) არ არის დამოკიდებული; დ) კონკრეტულ შემთხვევაშია დამოკიდებული.

## **9. ინტენსიურია თვისებები, რომლებიც ნივთიერების რაოდენობაზე**

- ა) დამოკიდებულია; გ) გარკვეულ პირობებშია დამოკიდებული;
- ბ) არ არის დამოკიდებული; დ) კონკრეტულ შემთხვევაშია დამოკიდებული.

## **10. ინტენსიური თვისებებია:**

- ა) V, U, P; გ) S, H, ზედაპირის ფართი;
- ბ) P, T,  $\rho$ ; დ) m, U, H.

## **11. ექსტენსიური თვისებებია:**

- ა) P, T,  $\rho$ ; გ)  $M_r$ ,  $\sigma$ , ელგამტარობა;
- ბ) m, V, U; დ) C, აორთქლების და ლდობის კუთრი სითბოები.

## **12. პროცესი ოზოთერმულია, როდესაც**

- ა)  $P = \text{const}$ ; გ)  $T = \text{const}$ ;
- ბ)  $V = \text{const}$ ; დ)  $\Delta q = 0$ .

## **13. პროცესი ოზობარულია, როდესაც**

- ა)  $P = \text{const}$ ; გ)  $T = \text{const}$ ;  
 ბ)  $V = \text{const}$ ; დ)  $\Delta q = 0$ .

**14. პროცესი იზოქორულია, როდესაც**

- ა)  $V = \text{const}$ ; გ)  $T = \text{const}$ ;  
 ბ)  $P = \text{const}$ ; დ)  $\Delta q = 0$ .

**15. პროცესი ადიაბატურია, როდესაც**

- ა)  $P = \text{const}$ ; გ)  $T = \text{const}$ ;  
 ბ)  $V = \text{const}$ ; დ)  $\Delta q = 0$ .

**16. სტანდარტული პირობებია**

- ა) 273 K, 1aტმ; გ) 298 K, 101,3 კპა;  
 ბ) 0°C, 1aტმ.; დ) 20°C, 101,3 კპა.

**17. თერმოდინამიკურად შექცევადია პროცესი**

- ა) თუ საწყის მდგომარეობას სისტემა ისე უბრუნდება, რომ გადის პირდაპირი პროცესის დროს გავლილ ყველა მდგომარეობას;  
 ბ) როდესაც სისტემა უბრუნდება საწყის მდგომარეობას;  
 გ) როდესაც პირდაპირი რეაქციის სიჩქარე ტოლია შექცევადი რეაქციის სიჩქარისა;  
 დ) როდესაც სისტემის ენთალპია მაქსიმალურია.

**18. მდგომარეობის ფუნქციებია:**

- ა) სითბო და ტემპერატურა; გ) სითბო და მუშაობა;  
 ბ) მუშაობა და ტემპერატურა; დ) შიგა ენერგია და ენთალპია.

**19. რა შემთხვევაშია სითბო მდგომარეობის ფუნქცია**

- ა) იზოქორულ და იზობარულ პროცესებში;  
 ბ) ადიაბატურ პროცესებში;  
 გ) იზოთერმულ თავისთავად პროცესებში;  
 დ) შექცევად იზოთერმულ პროცესში.

**20. სისტემის შიგა ენერგია ეწოდება**

- ა) სისტემის პოტენციური და კინეტიკური ენერგიების ჯამს;  
 ბ) სისტემის შემადგენელი ყველა ნაწილაკის პოტენციური და კინეტიკური ენერგიების ჯამს, იგი არ მოიცავს მთელი სისტემის პოტენციურ და კინეტიკურ ენერგიებს;  
 გ) სისტემის პოტენციური ენერგიის მარაგს;

დ) სისტემის შემადგენელი ნაწილების კინეტიკური ენერგიების ჯამს.

**21. შიგა ენერგიის განზომილებაა**

- |                   |                  |
|-------------------|------------------|
| ა) კჯ/მოლი;       | გ) კილოკალორია;  |
| ბ) კ/მოლ.გრადუსი; | დ) გრადუსი/მოლი; |

**22. შიგა ენერგიის ცვლილება დამოკიდებულია სისტემის**

- |                                     |                        |
|-------------------------------------|------------------------|
| ა) ცვლილების გზაზე;                 | გ) კინეტიკურ ენერგიაზე |
| ბ) საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე; | დ) პოტენციურ ენერგიზე. |

**23. თუ სისტემა ა, ბ, გ კომპონენტისაგან შედგება მისი შიგა ენერგია იქნებას**

- |                                |                              |
|--------------------------------|------------------------------|
| ა) $U_s + U_d + U_g$ ;         | გ) $U_s - U_d - U_g$ ;       |
| ბ) $U_s \cdot U_d \cdot U_g$ ; | ღ) $1 / (U_s + U_d + U_g)$ . |

**24. ენთალპია არის**

- |  |  |
|--|--|
| ა) სისტემის სრული ენერგია მუდმივი მოცულობის დროს;    |  |
| ბ) სისტემის პოტენციური ენერგია მუდმივი წნევის დროს;; |  |
| გ) სისტემის სრული ენერგია წნევაუცვლელ პირობებში;     |  |
| ღ) სისტემის სრული ენერგია მუდმივი ტემპერატურის დროს. |  |

**25. ენთალპიის განზომილებაა**

- |             |                   |
|-------------|-------------------|
| ა) კჯ/მოლი; | გ) გრადუსი/მოლი;  |
| ბ) კალორია; | ღ) კ/მოლ.გრადუსი; |

**26. ენთალპიის ცვლილება დამოკიდებულია სისტემის**

- |                                     |                         |
|-------------------------------------|-------------------------|
| ა) ცვლილების გზაზე;                 | გ) კინეტიკურ ენერგიაზე; |
| ბ) საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე; | დ) პოტენციურ ენერგიაზე  |

**27. რა პირობებშია  $\Delta U$  მაქსიმალური სასარგებლო მუშაობის ტოლი**

- |  |  |
|--|--|
| ა) $\Delta U$ არასოდეს არ არის მუშაობის ტოლი;              |  |
| ბ) ადიაბატურ პროცესში;                                     |  |
| გ) ნებისმიერ შეუქცევად პროცესში;                           |  |
| ღ) შეუქცევად პროცესში მუდმივი წნევის და ტემპერატურის დროს. |  |

**28.  $\Delta U$  და  $\Delta H$ -ს შორის შემდეგი სახის თანაფარდობაა**

- |  |                            |
|--|----------------------------|
| ა) $\Delta U = \Delta H + nRT$ ;       | გ) $\Delta U > \Delta H$ ; |
| ბ) $\Delta H = \Delta U + P\Delta V$ ; | ღ) $\Delta U = \Delta H$ . |

**29. რა არის მუშაობა**

- |   |  |
|---|--|
| ა) მუშაობა ერთი სისტემიდან მეორეზე ან სისტემიდან გარემომცველ სამყაროზე ენერგიის გადაცემის ფორმაა; |  |
|---|--|

- ბ) მუშაობა სიდიდეა, რომელიც ახასიათებს ნაწილაკების საშუალო კინეტიკურ ენერგიას;
- გ) ენერგია, რომელიც ხასიათდება ტემპერატურის ცვლილებით;
- დ) სისტემის კინეტიკური და პოტენციური ენერგიების ჯამია.

### 30. ენერგიის განზომილებაა

- |             |             |
|-------------|-------------|
| ა) გრადუსი; | გ) პასკალი; |
| ბ) ჯოული;   | დ) სიმენსი. |

### 31. თერმოდინამიკაში მუშაობა დადებითია

- ა) როდესაც სისტემის საერთო ენერგია მცირდება;
- ბ) როდესაც სისტემის საერთო ენერგია იზრდება;
- გ) როდესაც სისტემის საერთო ენერგია უცვლელია;
- დ) როდესაც კინეტიკური ენერგია ტოლია პოტენციური ენერგიის.

### 32. იზოქორული პროცესის დროს მუშაობა ტოლია

- |                      |                                   |
|----------------------|-----------------------------------|
| ა) $W = 0$ ;         | გ) $W = RT \ln \frac{P_1}{P_2}$ ; |
| ბ) $W = P\Delta V$ ; | დ) $W = C_V(T_1 - T_2)$ .         |

### 33. იზობარული პროცესის დროს მუშაობა ტოლია

- |                      |                                   |
|----------------------|-----------------------------------|
| ა) $W = 0$ ;         | გ) $W = RT \ln \frac{P_1}{P_2}$ ; |
| ბ) $W = P\Delta V$ ; | დ) $W = C_V(T_1 - T_2)$ .         |

### 34. იზოთერმული პროცესის დროს მუშაობა ტოლია

- |                      |                                   |
|----------------------|-----------------------------------|
| ა) $W = 0$ ;         | გ) $W = RT \ln \frac{P_1}{P_2}$ ; |
| ბ) $W = P\Delta V$ ; | დ) $W = C_V(T_1 - T_2)$ .         |

### 35. ადიაბატური პროცესის დროს მუშაობა ტოლია

- |                      |                                   |
|----------------------|-----------------------------------|
| ა) $W = 0$ ;         | გ) $W = RT \ln \frac{P_1}{P_2}$ ; |
| ბ) $W = P\Delta V$ ; | დ) $W = C_V(T_1 - T_2)$ .         |

### 36. თერმოდინამიკის ნულოვანი კანონის ფორმულირებაა

- ა) თუ A და B სისტემები იმყოფებიან სითბურ წონასწორობაში C სისტემასთან, A და B სისტემებიც სითბურ წონასწორობაშია ერთმანეთთან;
- ბ) თუ A და B სისტემები სითბურ წონასწორობაში არიან C სისტემასთან, A და

В სისტემები არ არიან სითბურ წონასწორობაში ერთმანეთთან;

გ) თუ A სისტემა სითბურ წონასწორობაშია B სისტემასთან, C –სისტემა  
წონასწორობაშია A და B სისტემებთან;

დ) თუ A და B სისტემები არ არიან სითბურ წონასწორობაში ერთმანეთთან, C –  
სისტემა წონასწორობაშია A სისტემასთან.

**37. თერმოდინამიკის პირველი კანონი განსაზღვრავს პროცესის**

- ა) მიმდინარეობის დროს; გ) ენერგეტიკულ ბალანსს;  
ბ) მიმართულებას; დ) მაქსიმალურ მუშაობას

**38. დაწერეთ თერმოდინამიკის I კანონის მათემატიკური გამოსახულება**

- ა)  $\delta q = dU + \delta W$ ; გ)  $\delta q = dU - \delta W$ ;  
ბ)  $\delta W = \delta q + dU$ ; დ)  $dU = \delta q + \delta W$ .

**39. თერმოდინამიკის I კანონში არსებულ სიდიდეებიდან რომელი არ არის  
დამოკიდებული პროცესის მიმდინარეობის გზაზე**

- ა)  $\delta q$ ; გ)  $\delta W$ ;  
ბ)  $dU$ ; დ) არცერთი.

**40. რას შეისწავლის თერმოქიმია**

- ა) ქიმიური რეაქციის შედეგად გამოყოფილ სითბოს რაოდენობას;  
ბ) ქიმიური რეაქციების, ფაზური გარდაქმნების, გახსნის, დისოციაციის და  
ა.შ. სითბურ ეფექტებს;  
გ) რეაქციის მიმდინარეობის დროს შთანთქმულ სითბოს რაოდენობას;  
დ) ერთი მოლი ნივთიერების მიღების დროს გამოყოფილ ან შთანთქმულ  
სითბოს რაოდენობას.

**41. ქიმიური რეაქციის სითბური ეფექტი არის**

- ა) სითბო, რომელიც გამოიყოფა რეაქციის მიმდინარეობის დროს სტანდარტულ  
პირობებში;  
ბ) სითბო, რომელიც გამოიყოფა ან შთაინთქმება რეაქციის მიმდინარეობის  
დროს, როდესაც სისტემაში არავითარი მუშაობა არ სრულდება გარდა  
გაფართოების მუშაობისა და რეაქციის პროდუქტებს ისეთივე ტემპერატურა  
აქვთ, როგორც საწყის ნივთიერებებს.  
გ) რეაქციაში მონაწილე ყველა ნივთიერების წარმოქმნის სითბოთა ჯამს;  
დ) სითბო, რომელიც გამოიყოფა რეაქციის მიმდინარეობის დროს, მინუს წა-  
რმოქმნის სითბოთა ჯამი.

**42. ოოგორი კავშირია მუდმივი მოცულობის და მუდმივი წნევის პირობები მიმდინარე რეაქციის  $Q_V$  და  $Q_P$  სითბურ ეფექტებს შორის**

- ა)  $Q_P = Q_V$ ; გ)  $Q_P = Q_V \pm \Delta nRT$ ;  
ბ)  $Q_V = Q_P \pm \Delta nRT$ ; დ)  $Q_P = Q_V - 1$ .

**43. ჰესის კანონის თანახმად ქიმიური რეაქციის სითბური ეფექტი**

- ა) არ არის დამოკიდებული პროცესის მიმდინარეობის გზაზე, მუშაობა მაქსიმალურია, ხოლო წნევა და ტემპერატურა მუდმივი;  
ბ) არ არის დამოკიდებული სისტემის საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე, არამედ დამოკიდებულია პროცესის მიმდინარეობის გზაზე;  
გ) დამოკიდებულია სისტემის საწყის და საბოლოო მდგომარეობაზე და არა რეაქციის მიმდინარეობის გზაზე;  
დ) დამოკიდებულია პროცესის მიმართულებაზე.

**44. წარმოქმნის სითბო ეწოდება სითბოს, რომელიც გამოიყოფა**

- ა) რთული ნივთიერების წარმოქმნისას ნ.პ.;  
ბ) 1 მოლი ნივთიერების წარმოქმნისას სტ.პ;  
გ) ან შთაინთქმება 1 მოლი ნივთიერების წარმოქმნისას მარტივი ნივთიერებებიდან სტანდარტულ პირობებში;  
დ) ან შთაინთქმება 1 მოლი ნივთიერების წარმოქმნისას მარტივი ნივთიერებებიდან ოთახის ტემპერატურაზე.

**45. წვის სითბო ეწოდება სითბოს, რომელიც გამოიყოფა**

- ა) რთული ნივთიერების წვის დროს;  
ბ) 1 მოლი ნივთიერების სრული წვისას ჭარბ ჟანგბადში;  
გ) 1 მოლი ნივთიერების წვისას ნორმალურ პირობებში;;  
დ) მარტივი ნივთიერების წვისას სტანდარტულ პირობებში.

**46. ნეიტრალიზაციის სითბო სითბოს ის რაოდენობაა, რომელიც გამოიყოფა**

- ა) მჟავას ტუტით განეიტრალებისას;  
ბ) 1 მოლეკულა მჟავას ტუტით განეიტრალებისას;  
გ) 1გ ექვივალენტი მჟავას 1გ ექვივალენტი ტუტით განეიტრალებისას;  
დ) მჟავას 1 მოლეკულა ტუტით განეიტრალებისას.

**47. გახსნის დიფერენციალური სითბო არის**

- ა) ნივთიერების ნებისმიერ გამსსნელში გახსნისას გამოყოფილი სითბო;  
ბ) 1 მოლი ნივთიერების 1 ლ წყალში გახსნისას გამოყოფილი სითბო;

- გ) 1 მოლი ნივთიერების გახსნისას გამოყოფილი სითბო გამხსნელის ისეთ  
რაოდენობაში, რომ მიღებული ხსნარის შემდგომ განზავებას აღარ მოჰყვეს  
შესამჩნევი სითბური ეფაქტი;

დ) 1 მოლი ნივთიერების ისეთი რაოდენობა გამხსნელში გახსნისას გამოყო-  
ფილი სითბო, როდესაც გარკვეული მოლარობის ხსნარი წარმოიქმნება.

48. გახსნის ინტეგრალური სითბო არის

- ა) ნივთიერების ნებისმიერ გამსხველში გახსნისას გამოყოფილი სითბო;
  - ბ) 1 მოლი ნივთიერების 1 ლ წყალში გახსნისას გამოყოფილი სითბო;
  - გ) 1 მოლი ნივთიერების გახსნისას გამოყოფილი სითბო გამსხველის ისეთ რაოდენობაში, რომ მიღებული ხსნარის შემდგომ განზავებას აღარ მოჰყვეს შესამჩნევი სითბური ეფექტი;
  - დ) 1 მოლი ნივთიერების ისეთი რაოდენობა გამსხველში გახსნისას გამოყოფილი სითბო, როდესაც გარკვეული მოლარობის ხსნარი წარმოიქმნება.

- ა) კრისტალჰიდრატისა და უწყლო მარილის გახსნის სითბოთა ჯამისა;
  - ბ) კრისტალჰიდრატისა და უწყლო მარილის გახსნის სითბოთა სხვაობისა;
  - გ) უწყლო მარილისა და კრისტალჰიდრატის გახსნის სითბოთა სხვაობისა;
  - დ) უწყლო მარილის და კრისტალჰიდრატის გახსნის სითბოთა ნამრავლისა

50. წარმოქმნის სითბოს საშუალებით რეაქციის სითბური ეფექტი განისაზღვრება

- ♂)  $\Delta H = \sum \Delta H^0_{\text{боя}} + \sum \Delta H^0_{\text{брюк}}$ ; ♂)  $\Delta H = \sum \Delta H^0_{\text{брюк}} - \sum \Delta H^0_{\text{боя}}$ ;  
 ♂)  $\Delta H = \sum \Delta H^0_{\text{боя}} - \sum \Delta H^0_{\text{брюк}}$ ; ♂)  $\Delta H = \sum \Delta H^0_{\text{боя}} \times \sum \Delta H^0_{\text{брюк}}$ ;

51. წევის სითბოს საშუალებით რეაქციის სითბური გვიქტი განისაზღვრება

- ♂)  $\Delta H = \sum \Delta H_{V3, b\delta V} + \sum \Delta H_{V3, b\delta m\varphi}$ ; ♂)  $\Delta H = \sum \Delta H_{V3, b\delta m\varphi} - \sum \Delta H_{V3, b\delta V}$ ;  
 ♀)  $\Delta H = \sum \Delta H_{V3, b\delta V} - \sum \Delta H_{V3, b\delta m\varphi}$ ; ♀)  $\Delta H = 0.5 (\sum \Delta H_{V3, b\delta V} + \sum \Delta H_{V3, b\delta m\varphi})$ ;

52. როგორ ვიპოვოთ ორგანული ნაერთის წეის სითბო თუ ვიცით ნივთიერებების წარმოქმნის სითბოები

- ა) მოცემული ნაერთის წარმოქმნის სითბოს გამოვაკლოთ მისი წვის პროდუქტების წარმოქმნის სითბოთა ჯამი.
  - ბ) მოცემული ორგანული ნაერთის წვის პროდუქტების წარმოქმნის სითბოთა ჯამს, გამოვაკლოთ ამ ნივთიერების წარმოქმნის სითბო.
  - გ) მოცემული ორგანული ნაერთის წვის პროდუქტების წარმოქმნის სითბოთა ჯამს მივუმატოთ ამ ნივთიერების წარმოქმნის სითბო.

- დ) მოცემული ნაერთის წვის პროდუქტების წარმოქმნის სითბოთა ჯამს შებრუ-  
ნებული ნიშნით გამოვაკლოთ მოცემული ნივთიერების წარმოქმნის სითბო
- 53. ცნობარში არ არის მოცემული ბენზალდეპიდის  $C_6H_5CHO$  წვის სითბო. რა  
მონაცემებია საჭირო მის გამოსათვლელად 298 K-ზე**
- ა) ბენზალდეპიდის, ნახშირორჟანგისა და წყლის წვის სითბოები;  
ბ) ბენზალდეპიდის, ნახშირორჟანგისა და წყლის წარმოქმნის სითბოები;  
გ) წვის პროდუქტების წარმოქმნის სითბო;  
დ) ბენზალდეპიდის წარმოქმნის სითბოს დამოკიდებულება ტემპერატურაზე.
- 54. თხევადი ანილინის  $C_6H_5NH_2$  წარმოქმნის სითბო 298 K-ზე 29,7 კალ/მოლ-ია.  
დაწერეთ რეაქციის ტოლობა, რომელსაც ეკუთვნის ეს სითბური ეფექტი**
- ა)  $6C + 7H + N \rightarrow C_6H_5NH_2$ ;  
ბ)  $C_6H_5NO_2 + 3H_2 \rightarrow C_6H_5NH_2$ ;  
გ)  $6C + 7/2H_2 + 1/2N_2 \rightarrow C_6H_5NH_2$   
დ)  $C_6H_5NO_2 + 9/4Fe + H_2O \rightarrow C_6H_5NH_2 + 3/4Fe_3O_4$ .
- 55. სითბოტევადობა არის**
- ა) სისტემის მიერ შთანთქმული სითბო;  
ბ) სისტემის მიერ შთანთქმული სითბოს რაოდენობის ფარდობა ამ დროს  
მიღებულ ტემპერატურის ნამატოან, როდესაც არ სრულდება არავითარი  
გარდაქმნა ან მუშაობა;  
გ) ნივთიერების მიერ შთანთქმული სითბოს რაოდენობა;  
დ) 1 მოლი ნივთიერების მიერ შთანთქმული სითბოს რაოდენობა.
- 56. მოლური სითბოტევადობაა**
- ა) ერთი მოლი ნივთიერების  $^{10}C$ -ით გასათბობად საჭირო სითბოს რაოდენობა;  
ბ) ერთი გრამი ნივთიერების  $^{10}C$ -ით გასათბობად საჭირო სითბოს რაოდენობა;  
გ) ერთი მოლი ნივთიერების მიერ შთანთქმული სითბოს რაოდენობა;  
დ) ერთი გრამი ნივთიერების მიერ შთანთქმული სითბოს რაოდენობა.
- 57. კუთრი სითბოტევადობაა**
- ა) ერთი მოლი ნივთიერების  $^{10}C$ -ით გასათბობად საჭირო სითბოს რაოდენობა;  
ბ) ერთი გრამი ნივთიერების  $^{10}C$ -ით გასათბობად საჭირო სითბოს რაოდენობა;  
გ) ერთი მოლი ნივთიერების მიერ შთანთქმული სითბოს რაოდენობა;  
დ) ერთი გრამი ნივთიერების მიერ შთანთქმული სითბოს რაოდენობა.
- 58. მოლური სითბოტევადობის განზომილებაა**

- ა)  $\dot{X}/\dot{M}_{\text{v}} \cdot \dot{G}$ ;  
 ბ)  $\dot{X}/\dot{G} \cdot \dot{M}_{\text{v}}$ ;  
**59.** კუთრი სითბოტეევადობის განზომილებაა  
 ა)  $\dot{X}/\dot{M}_{\text{v}} \cdot \dot{G}$ ;  
 ბ)  $\dot{X}/\dot{G} \cdot \dot{M}_{\text{v}}$ ;  
**60.** როგორი დამოკიდებულებაა  $C_V$ -სა და  $C_P$ -ს შორის  
 ა)  $C_V > C_P$ ;  
 ბ)  $C_V = C_P$ ;  
 გ)  $C_V = C_P + nR$ ;  
 დ)  $C_P = C_V + R$ .  
**61.** როგორი დამოკიდებულებაა კუთრ და მოლურ სითბოტეევადობებს შორის  
 ა)  $C_{\text{მოლ}} = C_{\text{კუთრ}} \cdot M_r$ ;  
 ბ)  $C_{\text{მოლ}} = C_{\text{კუთრ}} / M_r$ ;  
 გ)  $C_{\text{კუთრ}} = C_{\text{მოლ}}$ ;  
 დ)  $C_{\text{კუთრ}} = \sqrt{C_{\text{მოლ}}}$ .  
**62.** რომელია მეტი მოლური თუ კუთრი სითბოტეევადობა  
 ა) მოლური;  
 ბ) კუთრი;  
 გ) ტოლია;  
 დ) გააჩნია პირობებს.  
**63.** 1 მოლი აირი იზობარულ პირობებში თბება  $T_1$ -დან  $T_2$ -მდე. რომელი ფორმულით შეიძლება გამოვთვალოთ ამ პროცესის ენთალპიის ცვლილება თუ სითბოტეევადობა ტემპერატურის ამ ინტერვალში მუდმივია  
 ა)  $\Delta H = \Delta C_p(T_1 - T_2)$ ;  
 ბ)  $\Delta H = C_p(T_2 - T_1)$ ;  
 გ)  $\Delta H_T = \Delta H_T + \Delta C_p(T_2 - T_1)$ ;  
 დ)  $\Delta H = \Delta C_v T + \text{Const.}$   
**64.** 1 მოლი აირი იზოქორულ პირობებში თბება  $T_1$ -დან  $T_2$ -მდე. რომელი ფორმულით გამოითვლება შიგა ენერგიის ცვლილება ტემპერატურის ამ ინტერვალში  
 ა)  $\Delta U = C_v(T_2 - T_1)$ ;  
 ბ)  $\Delta U = \int_{T_1}^{T_2} C_v dT$ ;  
 გ)  $\Delta U = \int_{T_1}^{T_2} \Delta C_v dT$ ;  
 დ)  $\Delta U = C_p - C_v(T_2 - T_1)$ .  
**65.** რეაქციის სითბური ეფექტის ტემპერატურაზე დამოკიდებულებას გვაძლევს  
 ა) ჰესის კანონი;  
 ბ) კირხ-ჰოფის;  
 გ) განტ-ჰოფის კანონი;  
 დ) პლანკის კანონი.  
**66.** ქიმიური რეაქციის სითბური ეფექტის ტემპერატურული კოეფიციენტი  $\Delta C$   
 ა) რეაქციის შედეგად მიღებული და აღებული ნივთიერებების სითბოტეევადო-

ბების სხვაობის ტოლია;

- ბ) რეაქციის შედეგად მიღებული და აღებული ნივთიერებების სითბოტეგადობების ჯამის ტოლია;
- გ) რეაქციის მიმდინარეობისას აღებული და მიღებული ნივთიერებების სითბოტეგადობების ნამრავლის ტოლია;

67. რეაქციის სითბური ეფექტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე გამოისახება

- ა)  $Q_{PT_2} = Q_{PT_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta C_p dT$  ;      ბ)  $Q_{PT_2} = Q_{PT_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta V dT$  ;
- დ)  $Q_{PT_2} = Q_{PT_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta C_p dT$  ;      ღ)  $Q_{PT_2} = Q_{PT_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta S dT$  .

68. რეაქციის სითბური ეფექტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე გამოისახება

- ა)  $Q_{VT_2} = Q_{VT_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta C_V dT$  ;      ბ)  $Q_{VT_2} = Q_{VT_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta V dT$  ;
- დ)  $Q_{VT_2} = Q_{VT_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta C_V dT$  ;      ღ)  $Q_{PT_2} = Q_{PT_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta S dT$  .

69. რეაქციის სითბური ეფექტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე გამოისახება

- ა)  $\Delta U_{T_2} = \Delta U_{T_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta C_V dT$  ;      ბ)  $\Delta U_{T_2} = \Delta U_{T_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta V dT$  ;
- დ)  $\Delta U_{T_2} = \Delta U_{T_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta C_V dT$       ღ)  $\Delta U_{T_2} = \Delta U_{T_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta V dT$  .

70. რეაქციის სითბური ეფექტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე გამოისახება

- ა)  $\Delta H_{T_2} = \Delta H_{T_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta C_p dT$  ;      ბ)  $\Delta H_{T_2} = \Delta H_{T_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta S dT$  ;
- დ)  $\Delta H_{T_2} = \Delta H_{T_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta C_p dT$  ;      ღ)  $\Delta H_{T_2} = \Delta H_{T_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta S dT$  .

71. სითბოტეგადობის ტემპერატურაზე დამოკიდებულება გამოისახება ხარისხოვანი მწკრივის საშუალებით

- ა)  $C = a - bT - cT^2 - \dots$       ბ)  $C = a + bT + cT^2 + c^1 T^{-2} \dots$
- დ)  $C = a \cdot bT \cdot cT^2 \dots$       ღ)  $C = aT + bT^2 + cT^3 + \dots$

72. კირხელოფის კანონის თანახმად რეაქციის სითბური ეფექტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე გამოისახება

$$\text{ა) } Q_T = Q_{298} + \int_{298}^T (\Delta a + \Delta bT + \Delta dT^2) dT; \quad \text{გ) } Q_T = Q_{273} + \int_{273}^T (a + bT + dT^2) dT;$$

$$\text{ბ) } Q_T = Q_{298} - \int_{298}^T (\Delta a + \Delta bT + \Delta dT^2) dT; \quad \text{ღ) } Q_T = Q_{273} - \int_{273}^T (a + bT + dT^2) dT.$$

73. როგორ იცვლება ქიმიური რეაქციის სითბური ეფექტი ტემპერატურის ზრდასთან ერთად და რით განისაზღვრება ამ დამოკიდებულების ხასიათი

- ა) იზრდება,  $\Delta C$ -ს ნიშნით;
- ბ) არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე;
- გ) მცირდება,  $\Delta H$ -ს ნიშნით;
- ღ) შეიძლება გაიზარდოს და შემცირდეს,  $\Delta C$ -ს ნიშნით;

74. ტემპერატურის გაზრდისას  $\text{CO}_2$ -ს გამოსავალი იზრდება რეაქციისათვის  $\text{COCl}_2 \rightarrow \text{CO} + \text{Cl}_2$  როგორი ნიშანი აქვს ამ რეაქციის სითბურ ეფექტს.

- ა)  $\Delta H < 0$ ;
- ბ)  $\Delta H > 0$ ;
- გ)  $\Delta H = 0$ ;
- ღ)  $\Delta H$ -ის ნიშანი დამოკიდებულია რეაქციის პროცესში სითბოტევადობის შეცვლაზე.

75. რომელი თერმოდინამიკური ფუნქციები გვხვდება თერმოდინამიკის I კანონში

- ა) S, G;
- ბ) G, A;
- გ) U, H
- ღ) P, A.

76. სამყაროს ენტროპია მიისწრაფის

- ა) მინიმუმისაპენ;
- ბ) მაქსიმუმისაკენ
- გ) არ იცვლება;
- ღ) უდრის ნულლს.

77. რის საშუალებას გვაძლევს თერმოდინამიკის II კანონი

- ა) გამოვთვალოთ პროცესის ენერგეტიკული ბალანსი;
- ბ) დავადგინოთ პროცესის მიმდინარეობის მაქსიმალური დრო;
- გ) განვსაზღვროთ პროცესის მიმართულება;
- ღ) დავადგინოთ პროცესის მაქსიმალური ტემპერატურა.

78. ქიმიური რეაქციის ენტროპიის მნიშვნელობა განისაზღვრება

- ა)  $\Delta S = \sum \Delta S_{\text{მიღ}} - \sum \Delta S_{\text{აღ}}$ ;
- ბ)  $\Delta S = \sum \Delta S_{\text{აღ}} - \sum \Delta S_{\text{მიღ}}$ ;
- გ)  $\Delta S = \sum \Delta S_{\text{მიღ}} + \sum \Delta S_{\text{აღ}}$ ;
- ღ)  $\Delta S = \sum \Delta S_{\text{მიღ}} \times \sum \Delta S_{\text{აღ}}$ .

79. ენტროპიის განხომილება

- ა) ჯ/მოლ·გრად;  
 ბ) ჯ/მოლი;
- გ) გრადუსი;  
 დ) კალ/გრად.

80. წონასწორული სისტემის შემაღგენელი ნაწილების ენტროპიებია:  $S_1, S_2, S_3$ .

სისტემის სრული ენტროპია  $\Delta S$  ტოლი იქნება

$$\text{ა) } \Delta S = S_1 + S_2 + S_3; \quad \text{გ) } \Delta S = \frac{1}{S_1 + S_2 + S_3};$$

$$\text{ბ) } \Delta S = S_1 \times S_2 \times S_3; \quad \text{დ) } \Delta S = \sqrt[3]{S_1 + S_2 + S_3}.$$

81. როგორი იცვლება ენტროპია სისტემაში, რომელშიც შეუქცევადად კრისტალდება ნივთიერება

ა) ენტროპია მცირდება;  
 ბ) ენტროპია იზრდება;

გ) ენტროპია უცვლელია;  
 დ) პასუხის გასაცემად აუცილებელია ვიცოდეთ რომელი ნივთიერება კრისტალდება.

82. როდესაც სისტემა მიისწაფის წონასწორობისაკენ ენტროპია

- ა) მცირდება,  $\Delta S < 0$ ;  
 ბ) იზრდება,  $\Delta S > 0$ ;
- გ) უცვლელია,  $\Delta S = 0$ ;  
 დ) ჯერ იზრდება შემდეგ მცირდება.

83. როდესაც სისტემაში მყარდება წონასწორობა ენტროპია

- ა) მცირდება,  $\Delta S < 0$ ;  
 ბ) იზრდება,  $\Delta S > 0$ ;
- გ) უცვლელია,  $\Delta S = 0$ ;  
 დ) ჯერ იზრდება შემდეგ მცირდება.

84. არაბუნებრივი პროცესების დროს ენტროპია

- ა) მცირდება,  $\Delta S < 0$ ;  
 ბ) იზრდება,  $\Delta S = 0$ ;
- გ) უცვლელია,  $\Delta S = 0$ ;  
 დ) ჯერ იზრდება შემდეგ მცირდება.

85. იზოთერმული ფაზური გარდაქმნის დროს ენტროპია ტოლია

$$\text{ა) } \Delta S = \frac{L}{T}; \quad \text{გ) } \Delta S = \frac{T}{L};$$

$$\text{ბ) } \Delta S = L \cdot T; \quad \text{დ) } \Delta S = \frac{C_p}{T}.$$

86. მუდმივი წნევის დროს ენტროპიის დამოკიდებულება ტემპერატურაზე გამოისახება

$$\text{ა) } \frac{d\Delta S}{dT} = \frac{\Delta C_p}{T}; \quad \text{გ) } S_{T_2} = S_{T_1} - \int_{T_1}^{T_2} \Delta H dT;$$

$$\text{d)} \quad \Delta S = \int_{T_1}^{T_2} \Delta C_p dT; \quad \text{ღ)} \quad S_{T_2} = S_{T_1} + \int_{T_1}^{T_2} \ln \frac{C_p}{RT} dT.$$

87. იზოლირებულ სისტემაში პროცესის მიმართულების დასადგენად  
სარგებლობენ

- ა) თავისუფალი ენერგიით;
- გ) ენთალპიით;
- ბ) ენტროპიით;
- დ) შიგა ენერგიით.

88. ო სიდიდეებისაკენ მიისწრავის ენტროპია კონდენსირებულ სისტემაში  
აბსოლუტური ნულის მახლობლად

- ა)  $1/2R$ ;
- ბ) რაღაც მუდმივ სიდიდისაკენ, რომელიც თითოეული ნივთიერებისათვის არის  
დამახასიათებელი.
- გ) უსასრულობისაკენ;
- დ) ნულისაკენ.

89. როგორ იცვლება ენტროპია იზოლირებულ სისტემაში, რომელშიც შექცე-  
ვადად კრისტალდება ნივთიერება

- ა) სისტემის ენტროპია იზრდება;
- ბ) სისტემის ენტროპია მცირდება;
- გ) სისტემის ენტროპია უცვლელია;
- დ) პასუხისათვის აუცილებელია ვიცოდეთ რომელი ნივთიერება კრისტალდება.

90. მუდმივი მოცულობის დროს ენტროპიის დამოკიდებულება ტემპერატურაზე  
გამოისახება

$$\text{ა) } \Delta S = n \int_{T_1}^{T_2} \frac{\Delta C_V}{T} dT; \quad \text{ბ) } S_{T_2} = S_{T_1} + \int_{T_1}^{T_2} \frac{C_V}{RT} dT;$$

$$\text{ბ) } S_{T_2} = S_{T_1} - \int_{T_1}^{T_2} C_V dT; \quad \text{ღ) } \frac{d\Delta S}{dT} = C_{V_{T_2}} - C_{V_{T_1}}.$$

91. რომელ პროცესში არ მიმდინარეობს სისტემის ენტროპიის ცვლილება, თუ  
იგი შექცევადად წარიმართება

- ა) იზოთერმული;
- გ) ადიაბატური;
- ბ) იზოქორული;
- დ) იზობარული.

92 იზოლირებულ სისტემაში თავისთავად მიმდინარეობს ქიმიური რეაქცია საბო-  
ლოო რაღაც რაოდენობის ნივთიერებების წარმოქმნით, როგორ იცვლება ამ  
სისტემის ენტროპია

- ა) დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია კონკრეტული რეაქციის

## მითოთების გარეშე;

ბ) ენტროპია მცირდება;

გ) ენტროპია უცვლელი რჩება;

ე) ენტროპია ოზრდება.

93. სისტემის რომელი პარამეტრები უნდა შევინარჩუნოთ მუდმივი, რომ  
ენტროპიის ნიშნის მიხედვით ვიმსჯელოთ თავისთავად მიმდინარე პროცესის  
მიმართულებაზე

s) P goes T;

d) V goes T;

d) U goes V;

g) U gos P.

94. მოყვანილი განტოლებებიდან რომელი არ წარმოადგენს თერმოდინამიკის II კანონის მათემატიკურ გამოსახულებას

$$dS \geq \frac{\delta q}{T};$$

$$\delta) \, dH \leq TdS + VdP;$$

$$\text{d)} \quad W \leq \frac{qdT}{T};$$

$$\text{g) } \eta = \frac{A}{q} = \frac{q_1 - q_2}{q_1} = \frac{T_1 - T_2}{T_1} .$$

95. ჩამოთვლილი განტოლებებიდან რომელია თერმოდინამიკის II კანონის მა-  
თემატიკური გამოსახულება

$$5) \quad dW = q \frac{dT}{T};$$

$$\text{d)} \quad dS \geq \frac{q}{\delta W};$$

$$\delta) \quad \delta W = \delta q - dU ;$$

$$\text{g) } C_P = \left(\frac{dH}{dT}\right)_P.$$

96. დაწერეთ თერმოდინამიკის II კანონის მათემატიკური გამოსახულება უსასრულოდ მცირე ცვლილებებისათვის იზოლირებულ სისტემებში, შექცევადი და შეუძლებადი პროცესების მიმდინარეობის დროს

5) შექცევადი პროცესი  $dS = 0$ . შეუქცევადი პროცესი  $dS > 0$ ;

ð) შექცევადი პროცესი  $dS = \frac{dH}{T}$ . შეუქცევადი პროცესი  $dS > \frac{dH}{T}$ ;

გ) შექცევადი პროცესი  $dS > \frac{\delta q}{T}$ . შეუქცევადი პროცესი  $dS = \frac{\delta q}{T}$ ;

დ) შექცევადი პროცესი  $dS = \frac{\delta q}{T}$ . შეუქცევადი პროცესი  $dS > \frac{\delta q}{T}$ .

97. რომელი თერმოდინამიკური ფუნქციები შემოიტანეს თერმოდინამიკის მეორე კანონში

5)  $\Delta U$ ,  $\Delta A$ ,  $\Delta H$ ;

3)  $\Delta P$ ,  $\Delta A$ ,  $\Delta G$ ;

a)  $\Delta S$ ,  $\Delta A$ ,  $\Delta G$ ;

(c)  $\Delta T$ ,  $\Delta \mu$ ,  $\Delta U$ ,

98. თერმოდინამიკის I და II კანონების გაერთიანებული განტოლებაა

- s)  $dU \leq TdS - PdV$ ;      g)  $dU \leq - SdT - PdV$ ;  
 d)  $dU \leq TdS + PdV$ ;      g)  $dU \leq - SdT + PdV$ .

99. თერმოდინამიკის I და II კანონების გაერთიანებული განტოლებაა



100. თერმოდინამიკის I და II კანონების გაერთიანებული განტოლებებიდან გამო-

მდინარეობს რომ შიგა ენერგიის ნაწილი იხარჯება მუშაობის შესრულებაზე, ხოლო ნაწილი ბმულ ენერგიად გარდაიქმნება. ბმული ენერგიის საზომია

- ა) მოცელობა;  
ბ) ენთაღპია;  
გ) ენტროპია;  
დ) ტემპერატურა.

101. რა მიზნით შემოგვაქვს წარმოდგენა თერმოდინამიკურ პოტენციალებზე

- ა) იმისათვის რომ, შევძლოთ პროცესის ტემპერატურის დადგენა;
  - ბ) იმისათვის რომ, პროცესის მსვლელობის დრო გამოვითვალოთ;
  - გ) იმისათვის რომ, სისტემის სრული ენერგია დავადგინოთ;
  - დ) იმისათვის რომ, სხვადასხვა პირობებში მიმდინარე პროცესის მიმართულება განესაზღვროთ.

102 პროცესი მიმდინარეობს არაიზოლირებულ სისტემაში მუდმივ წნევასა და მუდმივ ტემპერატურაზე, რომელი თერმოდინამიკური პოტენციალი უნდა შევარჩიოთ თავისთავად მიმდინარე პროცესის დასახასიათებლად

- ა) შიგა ენერგია - U;
  - ბ) ჯიბსის თავისუფალი ენერგია - G;
  - გ) ენთალპია - H;
  - დ) ჰელმეტოლიკის თავისუფალი ენერგია - A.

103. პროცესი მიმდინარეობს არაიზოლირებულ სისტემაში მუდმივ ტემპერატურასა და მუდმივ მოცულობაზე, რომელი თერმოდინამიკური პოტენციალი უნდა შევარჩიოთ თავისთავად მიმდინარე პროცესის დასახასიათებლად

- ა) შიგა ენერგია  $U$ ;
  - ბ) ჯიბსის თავისუფალი ენერგია –  $G$ ;
  - გ) ენეროპია  $S$ ;
  - დ) ჰელმელცის თავისუფალი ენერგია –  $A$ .

104. არაიზოლირებულ სისტემაში იზოქორულ-იზოთერმულ პირობებში პროცესის

მიმართულება განისაზღვრება

- ა)  $\Delta A$ ; ბ)  $\Delta S$ ; გ)  $\Delta U$ ; დ)  $\Delta G$ .

105. არაიზოლირებულ სისტემაში იზობარულ-იზოთერმულ პირობებში პროცესის მიმართულება განისაზღვრება

- ა)  $\Delta G$ ; ბ)  $\Delta A$ ; გ)  $\Delta S$ ; დ)  $\Delta H$ .

106. თავისუფალი ენერგია იზოქორულ-იზოთერმულ პირობებში ტოლია

- ა)  $A = U - TS$ ; ბ)  $A = U + TS$ ;  
დ)  $A = H + TS$ ; ღ)  $A = U - PV$ .

107. თავისუფალი ენერგია იზობარულ-იზოთერმულ პირობებში ტოლია

- ა)  $G = H - TS$ ; ბ)  $G = H + PV$ ;  
დ)  $G = H + TS$ ; ღ)  $G = H - PV$ .

108. თავისუფალი ენერგიის ცვლილება იზოქორულ-იზოთერმულ პირობებში ტოლია

- ა)  $dA = - SdT - PdV$ ; ბ)  $dA = TdS + PdV$ ;  
დ)  $dA = - SdT + PdV$ ; ღ)  $dA = TdS - VdP$ .

109. თავისუფალი ენერგიის ცვლილება იზობარულ-იზოთერმულ პირობებში ტოლია

- ა)  $dG = - SdT + PdV$ ; ბ)  $dG = TdS + PdV$ ;  
დ)  $dG = - SdT + VdP$ ; ღ)  $dG = TdS - VdP$ .

110. თავისუფალი ენერგიის განხომილებაა

- ა)  $\frac{\partial}{\partial T} \ln \Omega$ ; ბ)  $\frac{\partial}{\partial T} \Omega$ ;  
დ)  $\frac{\partial \Omega}{\partial T}$  გრად; ღ)  $\frac{\partial \ln \Omega}{\partial T}$ .

111. როდესაც სისტემა მიისწრაფის წონასწორობისაკენ იზოქორულ-იზოთერმული პოტენციალის ცვლილება

- ა)  $\Delta A < 0$ ; ბ)  $\Delta A > 0$ ;  
დ)  $\Delta A = 0$ ; ღ)  $\Delta A = RT$ .

112. როდესაც სისტემა მიისწრაფის წონასწორობისაკენ იზობარულ-იზოთერმული პოტენციალის ცვლილება

- ა)  $\Delta G = 0$ ; ბ)  $\Delta G > 0$ ;  
დ)  $\Delta G < 0$ ; ღ)  $\Delta G = RT$ .

113. როდესაც სისტემა მიისწრაფის წონასწორობისაკენ იზოქორულ-იზოთერმული პოტენციალის მნიშვნელობა

- а) იზრდება;  
 ბ) მცირდება;
- გ) უცვლელია;  
 დ) ჯერ იზრდება, შემდეგ მცირდება.
114. როდესაც სისტემა მიისწრაფის წონასწორობისაკენ იზობარულ-იზოთერმული პოტენციალის მნიშვნელობა
- а) იზრდება;  
 ბ) მცირდება;
- გ) უცვლელია;  
 დ) ჯერ იზრდება, შემდეგ მცირდება.
115. წონასწორობის დროს იზოთერმულ-იზოქორული პოტენციალის ცვლილებაა
- а)  $\Delta A < 0$ ;  
 ბ)  $\Delta A = 0$ ;
- გ)  $\Delta A > 0$ ;  
 დ)  $\Delta A = RT$ .
116. წონასწორობის დროს იზობარულ-იზოთერმული პოტენციალის ცვლილებაა
- а)  $\Delta G = 0$ ;  
 ბ)  $\Delta G < 0$ ;
- გ)  $\Delta G > 0$ ;  
 დ)  $\Delta G = RT$ .
117. როდესაც სისტემა მიაღწევს წონასწორობას იზოთერმულ-იზოქორული პოტენციალის მნიშვნელობა
- а) მინიმალურია;  
 ბ) ნულის ტოლია;
- გ) მაქსიმალურია;  
 დ) უდრის  $R$ .
118. როდესაც სისტემა მიაღწევს წონასწორობას იზოთერმულ-იზობარული პოტენციალის მნიშვნელობა
- а) მინიმალურია;  
 ბ) ნულის ტოლია;
- გ) მაქსიმალურია;  
 დ) უდრის  $R$ .
119. რომელი თერმოდინამიკური პოტენციალი უნდა ავირჩიოთ პროცესის მიმართულების კრიტერიუმად თუ ის მიმდინარეობს დახურულ ავტოკლავში მუდმივ ტემპერატურაზე. როგორ იცვლება ეს პოტენციალი პროცესის თავისთავად მიმდინარეობის დროს
- а)  $G$ ,  $\Delta G < 0$ ;  
 ბ)  $H$ ,  $\Delta H < 0$ ;
- გ)  $A$ ,  $\Delta A < 0$ ;  
 დ)  $S$ ,  $\Delta S > 0$ .
120. მოიყვანეთ ფორმულა რომელიც ამყარებს კავშირს ჰელმჰოლცის თავისუფალ ენერგიასა  $\Delta A$  და ჯიბსის თავისუფალ ენერგიას  $\Delta G$  შორის 1 მოლი იდეალური გაზის გაფართოებისას  $V_1 - \text{დან } V_2 - \text{მდე}$
- а)  $\Delta G = \Delta A + RT$ ;  
 ბ)  $\Delta A = \Delta G + RT$ ;
- გ)  $\Delta G = \Delta A$ ;  
 დ)  $\Delta G = \Delta A + P(V_2 - V_1)$ .
121. გამოსახულებაში  $\Delta H = \Delta G + T\Delta S$  რომელი სიდიდე გამოსახავს შესრულებულ

### მუშაობას

- ა)  $\Delta H$ ;      ბ)  $\Delta G$ ;      გ)  $T\Delta S$ ;      დ)  $\Delta S$

122. გამოსახულებაში  $\Delta U = \Delta A + T\Delta S$  რომელი სიდიდე გამოსახავს შესრულებულ მუშაობას

- ა)  $\Delta U$ ;      ბ)  $\Delta A$ ;      გ)  $T\Delta S$ ;      დ)  $\Delta S$ .

123. რის ხარჯზე სრულდება ქიმიური რეაქციის მაქსიმალური სასარგებლო მუშაობა მუდმივ წნევასა და ტემპერატურაზე

- ა) სისტემის ჯიბსის თავისუფალი ენერგიის შემცირების  $W_P = -\Delta G$ ;  
 ბ) სისტემის პელმპოლცის თავისუფალი ენერგიის შემცირების ხარჯზე  $W_P = -\Delta A$ ;  
 გ) სისტემის ენთალპიის შემცირების ხარჯზე  $W_P = -\Delta H$ ;  
 დ) სისტემის ენტროპიის შემცირების ხარჯზე  $W_P = -\Delta S$ .

124. როგორ იცვლება ენტროპია (მუდმივი შიგა ენერგიის და მოცულობის დროს) და იზობარულ-იზოთერმულ პოტენციალი (მუდმივი წნევის და ტემპერატურის დროს) თავისთავად მიმდინარე პროცესისათვის

- ა)  $\Delta S > 0, \Delta G < 0$ ;      გ)  $\Delta S > 0, \Delta G > 0$ ;  
 ბ)  $\Delta S = 0, \Delta G = 0$ ;      დ)  $\Delta S < 0, \Delta G > 0$ .

125. დაწერეთ გამოსახულება, რომელიც ამყარებს კავშირს თავისუფალ ენერგიის ცვლილებას  $\Delta A$ , ამ ცვლილების ტემპერატურულ კოეფიციენტსა და შიგა ენერგიის ცვლილებას  $\Delta U$  შორის თერმოდინამიკური პროცესისათვის მუდმივ ტემპერატურაზე.

- ა)  $\Delta A = \Delta U - T\Delta S$ ;      გ)  $\Delta U = \Delta A + T\left(\frac{d\Delta A}{dT}\right)_T$ ;  
 ბ)  $A = U - T\left(\frac{dA}{dT}\right)$ ;      დ)  $\Delta A = \Delta U + T\left(\frac{d\Delta A}{dT}\right)_T$ .

126. პროცესის დასახასიათებლად, რომელშიც მხოლოდ მყარი და თხევადი ნი-  
ვთიერებები იღებენ მონაწილეობას, რომელი სიდიდეა ზედმეტი

- ა)  $\Delta H$ ;      ბ)  $\Delta U$ ;      გ)  $P\Delta V$ ;      დ) არცერთი მოყვანილი

127. სისტემის თავისუფალი ენერგია როგორ არის დამოკიდებული მის მოცუ-  
ლობაზე მუდმივი ტემპერატურის დროს (თუ ერთადერთი მუშაობის ფორმაა  
გაფართოების მუშაობა) მოგვეცით ამ დამოკიდებულების მათემატიკური  
გამოსახულება

- ა) მოცულობის გაზრდით თავისუფალი ენერგია იზრდება  $(\frac{\partial A}{\partial V})_P = P$ ;
- ბ) მოცულობის გაზრდით თავისუფალი ენერგია არ იცვლება  $(\frac{\partial A}{\partial V})_T = 0$ ;
- გ) მოცულობის გაზრდით თავისუფალი ენერგია მცირდება  $(\frac{\partial A}{\partial V})_T = -P$ ;
- დ) ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან არ არის ფუნქციური დამოკიდებულება თავისუფალი ენერგიისა მოცულობისაგან.

**128. როგორ არის დამოკიდებული იზობარულ-იზოთერმული პოტენციალი ტემპერატურაზე (იმ პირობით, რომ მუშაობის ერთადერთი ფორმა – გაფართოების მუშაობაა)? აჩვენეთ ამ დამოკიდებულების მათემატიკური გამოსახულება.**

- ა) იზრდება ტემპერატურის გაზრდით,  $\left(\frac{\partial G}{\partial T}\right)_P = V$ ;
- ბ) უცვლელია ტემპერატურის გაზრდით,  $\frac{\partial G}{\partial T} = VdP$ ;
- გ) მცირდება ტემპერატურის გაზრდით,  $\left(\frac{\partial G}{\partial T}\right)_P = -S$ ;
- დ) ტემპერატურის გაზრდით შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს  $\Delta V$  –ს ნიშნის მიხედვით,  $\left(\frac{\partial G}{\partial T}\right)_P = P\Delta V$ ;

**129. როგორ არის დამოკიდებული წნევაზე იზობარულ-იზოთერმული პოტენციალი რა არის ამ დამოკიდებულების საზომი მუდმივ ტემპერატურაზე, თუ მუშაობის ერთადერთი ფორმა გაფართოების მუშაობაა**

- ა) წნევის გაზრდით იზრდება  $\left(\frac{\partial G}{\partial P}\right)_T = V$ ;
- ბ) წნევის გაზრდით მცირდება  $\left(\frac{\partial G}{\partial P}\right)_T = -V$ ;
- გ) წნევის გაზრდით უცვლელია  $\left(\frac{\partial G}{\partial P}\right)_T = S$ ;
- დ) არ არის დამოკიდებული წნევაზე  $\left(\frac{\partial G}{\partial P}\right)_T = 0$ .

**130. მახასიათებელი ფუნქციებია**

- ა)  $dU, dH, dG, dA;$  გ)  $dP; dW, Cp, Cv;$   
 ბ)  $q, dS, dV, dW;$  ღ)  $Qp, dH, dWp, Cp.$

131. ტემპარ-შვარცმანის მეთოდით იზობარულ-იზოთერმული პოტენციალის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს გამოსახულება

- ა)  $\Delta G_{T,m}^0 = \Delta H_{298}^0 - T\Delta S_{298}^0;$   
 ბ)  $\Delta G_{T,m}^0 = \Delta H_{298}^0 - T\Delta S_{298}^0 - T(\Delta aM_0 + \Delta bM_1 + \Delta cM_{2-});$   
 გ)  $\Delta G_{T,m}^0 = \Delta H_{298}^0 - T\Delta S_{298}^0 - \Delta C_p T \cdot M_0;$   
 ღ)  $\Delta G_{T,m}^0 = \Delta H_{Tm_1}^0 - T\Delta S_{Tm_1}^0.$

132. ულიხის პირველი მიახლოებით რეაქციის თერმოდინამიკური შესაძლებლობის დადგენისას აუცილებელია ვიცოდეთ

- ა)  $\Delta C_p = f(T)$  და  $\Delta H_{T,m}^0;$  გ)  $\Delta H_{T,m}^0$  და  $\Delta S_{T,m}^0;$   
 ბ)  $\Delta H_{298}^0$  და  $\Delta S_{298}^0;$  ღ)  $T$  და  $\Delta S_{T,n}^0.$

133. ჯიბს-ჰელმძოლცის განტოლება გვიჩვენებს

- ა) თავისუფალი ენერგიის დამოკიდებულებას წნევაზე;  
 ბ) თავისუფალი ენერგიის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე;  
 გ) წონასწორობის მუდმივას დამოკიდებულებას ტემპერატურაზე;  
 ღ) ნაჯერი თრთქლის წნევის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე.

134. თავისუფალი ენერგიის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე გვიჩვენებს

- ა) ვანტ-ჰოფის იზობარის განტოლება;  
 ბ) კლაუზის-კლაპეირონის განტოლება;  
 გ) ჯიბს-ჰელმძოლცის განტოლება;  
 ღ) ვანტ-ჰოფის იზოთერმის განტოლება.

135. რომელია ჯიბს-ჰელმძოლცის განტოლების დიფერენციალური სახე

- ა)  $d \ln P = \frac{\lambda dT}{RT^2};$  გ)  $d\left(\frac{W}{T}\right) = -\frac{QdT}{T^2};$   
 ბ)  $\frac{d \ln K_p}{dT} = \frac{\Delta H}{RT^2};$  ღ)  $\frac{d\Delta H}{dT} = \Delta C_p.$

136. რომელი არ წარმოადგენს ჯიბს-ჰელმძოლცის განტოლების დიფერენციალურ სახეს

- ა)  $d\left(\frac{W}{T}\right) = -\frac{QdT}{T^2};$  გ)  $d\left(\frac{A}{T}\right) = -\frac{\Delta U}{T^2};$

$$\text{d)} \quad d\left(\frac{\Delta G}{T}\right) = -\frac{\Delta H}{T^2} dT; \quad \text{g)} \quad \frac{d \ln K}{dT} = \frac{\Delta H}{RT^2}.$$

137. რომელია ჯიბს-ჯელმჰოლცის განტოლების ინტეგრალური სახე

$$\text{a)} \quad \ln P = \int_{T_1}^{T_2} \frac{\lambda dT}{RT^2}; \quad \text{d)} \quad W = -T \int_{T_1}^{T_2} \frac{QdT}{T^2};$$

$$\text{d)} \quad \ln K_P = \int_{T_1}^{T_2} \frac{\Delta H}{RT^2} dT; \quad \text{g)} \quad \Delta H_T = \Delta H_0 + \int_{T_1}^{T_2} \Delta C_P dT.$$

138. რომელი არ წარმოადგენს ჯიბს-ჯელმჰოლცის განტოლების ინტეგრალურ ფორმას

$$\text{a)} \quad W = -T \int_{T_1}^{T_2} \frac{QdT}{T^2} + const; \quad \text{d)} \quad \Delta A = -T \int_{T_1}^{T_2} \frac{\Delta U dT}{T^2} + const;$$

$$\text{d)} \quad \Delta G = -T \int_{T_1}^{T_2} \frac{\Delta H dT}{T^2} + const; \quad \text{g)} \quad \ln P = \int_{T_1}^{T_2} \frac{\lambda}{RT^2} dT + const.$$

139. ჯიბს-ჯელმჰოლცის განტოლების ამოსახსნელად უნდა ვიცოდეთ

- ა) ენტროპიის დამოკიდებულება ტემპერატურაზე;
- ბ) პროცესის სითბური ეფექტის დამოკიდებულება ტემპერატურაზე;
- გ) ფაზური გარდაქმნის სითბოს დამოკიდებულება ტემპერატურაზე;
- დ) წნევის დამოკიდებულება ტემპერატურაზე.

140. იზობარულ-იზოთერმული პოტენციალის კერძო წარმოებული  $i$  –ური კომპონენტის მოლთა რიცხვის მიმართ ( $dG/dn_i$ )<sub>P,T,n1,n2,...nk</sub> წარმოადგენს

- ა) ენტროპიას  $S$ ;
- ბ) მუშაობას  $W$ ;
- გ) ქიმიურ პოტენციალს  $\mu$ ;
- დ) წნევას  $P$ .

141. იდეალური აირებისათვის ქიმიური პოტენციალი ტოლია

$$\begin{array}{ll} \text{a)} \quad \mu = \mu^0 + RT \ln N; & \text{d)} \quad \mu = \mu^0 + RT \ln P; \\ \text{d)} \quad \mu = \mu^0 - RT \ln P; & \text{g)} \quad \mu = \mu^0 - RT \ln C. \end{array}$$

142. რეალური აირებისათვის ქიმიური პოტენციალი ტოლია

$$\begin{array}{ll} \text{a)} \quad \mu = \mu^0 + RT \ln f; & \text{d)} \quad \mu = \mu^0 - RT \ln f; \\ \text{d)} \quad \mu = \mu^0 + RT \ln a; & \text{g)} \quad \mu = \mu^0 + RT \ln C. \end{array}$$

143. იდეალური ხსნარისათვის ქიმიური პოტენციალი ტოლია

$$\begin{array}{ll} \text{a)} \quad \mu = \mu^0 + RT \ln C; & \text{d)} \quad \mu = \mu^0 + RT \ln P; \\ \text{d)} \quad \mu = \mu^0 - RT \ln C; & \text{g)} \quad \mu = \mu^0 + RT \ln a \end{array}$$

**144. რეალური ხსნარებისათვის ქიმიური პოტენციალი ტოლია**

- ა)  $\mu = \mu^0 + RTlna;$       გ)  $\mu = \mu^0 - RTlnC;$   
ბ)  $\mu = \mu^0 + RTlnP;$       დ)  $\mu = \mu^0 - RTlnf$

**145. აქტიურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს**

- ა) ხსნარის კონცენტრაციის დამოკიდებულებას წნევაზე;  
ბ) ხსნარის ქიმიური პოტენციალს;  
გ) რეალური ხსნარის იდეალურისაგან გადახრის სიდიდეს;  
დ) იდეალური ხსნარის კონცენტრაციის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე.

**146. ნერნსტის სითბური თეორემის თანახმად**

- ა) კონდენსირებულ სისტემაში აბსოლუტურ ნულთან ახლოს  $T = 0 \text{ K}$ -ზე, წირები რომელთა კოორდინატებია  $\Delta G - T$  და  $\Delta H - T$  ნებისმიერ ქიმიურ პროცესში ასიმპტოტურად, უახლოვდება ერთმანეთს, ანუ აქვთ საერთო მხები;  
ბ) კონდენსირებულ სისტემებში წირები, რომელთა კოორდინატებია  $\Delta G - T$  და  $\Delta H - T$   $273^0\text{K}$ -ზე ასიმპტოტურად უახლოვდება ერთმანეთს;  
გ) სისტემებს, რომელთა  $\Delta G$ -ს და  $\Delta H$ -ის ტემპერატურაზე დამოკიდებულება ცნობილია,  $0^0\text{C}$ -ზე აქვთ საერთო მხები;  
დ) თუ ქიმიური პროცესი შესწავლილია  $\Delta G$ -ს და  $\Delta H$ -ის მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა  $0^0\text{C}$ -ზე.

**147 ნერნსტის სითბური თეორემის შედეგს არ წარმოადგენს**

- ა) აბსოლიტურ ნულთან ახლოს ნულს უდრის არა მხოლოდ სითბოტევადობათა ალგებრული ჯამი, არამედ ცალკეულ კომპონენტთა სითბოტევადობებიც;  
ბ) ნებისმიერი კონდენსირებული სისტემის ენტროპია აბსოლიტურ ნულზე ერთნაირია  $\Delta S = 0$ ;  
გ) კონდენსირებული სისტემებისათვის ჯიბს-ჰელმინტის განტოლების ინტეგრების მუდმივა ნულის ტოლია;  
დ) აბსოლიტურ ნულზე ნულის ტოლია შიგა ენერგია.

**148. აბსოლუტურ ნულთან ერთმანეთს უახლოვდება ასიმპტოტურად წირები, რომელთა კოორდინატებია:**

- ა)  $\Delta G - \Delta T$  და  $\Delta F - \Delta T;$       გ)  $\Delta U - \Delta T$  და  $\Delta H - \Delta T;$   
ბ)  $\Delta G - \Delta T$  და  $\Delta H - \Delta T;$       დ)  $\Delta H - \Delta T$  და  $\Delta S - \Delta T;$

**149 ნერნსტის სითბური თეორემის შედეგია**

- ა) ნებისმიერი კონდენსირებული სისტემის ენტროპია აბსოლიტურ ნულზე ერთნაირია  $\Delta S=0$  ;
- ბ)  $0^{\circ}\text{C}$  –ზე ნულის ტოლია არა მხოლოდ შიგა ენერგიების ჯამი არამედ ცალკეული კომპონენტების შიგა ენერგიებიც;
- გ) კონდენსირებული სისტემის მიერ შესრულებული მუშაობა აბსოლიტურ ნულზე ნულის ტოლია;
- დ) კოდენსირებული სისტემებისათვის კლაუზიუს-კლაპეირონის განტოლების ინტეგრირების მუდმივა ნულის ტოლია.

**150 ნერნსტის სითბური თეორემის შედეგია**

- ა)  $0^{\circ}\text{C}$  –ზე ნულის ტოლია არა მხოლოდ შიგა ენერგიების ჯამი არამედ ცალკეული კომპონენტების შიგა ენერგიებიც;
- ბ) კონდენსირებული სისტემის მიერ შესრულებული მუშაობა აბსოლიტურ ნულზე ნულის ტოლია;
- გ) კოდენსირებული სისტემებისათვის კლაუზიუს-კლაპეირონის განტოლების ინტეგრირების მუდმივა ნულის ტოლია;
- დ) კონდენსირებულ სისტემებში აბსოლიტურ ნულთან ახლოს ნულლს უდრის არა მხოლოდ სითბოტევადობათა ალგებრული ჯამი  $\Delta C_p=0$ , რამედ ცალკეულ კომპონენტთა სითბოტევადობებიც,  $C_p=0$ .

**151. ნერნსტის სითბური თეორემის შედეგია**

- ა)  $0^{\circ}\text{C}$  –ზე ნულის ტოლია არა მხოლოდ შიგა ენერგიების ჯამი არამედ ცალკეული კომპონენტების შიგა ენერგიებიც;
- ბ) კონდენსირებული სისტემის მიერ შესრულებული მუშაობა აბსოლიტურ ნულზე ნულის ტოლია;
- გ) კოდენსირებული სისტემებისათვის ჯიბს-ჰელმიტოლცის განტოლების ინტეგრირების მუდმივა ნულის ტოლია;
- დ) კოდენსირებული სისტემებისათვის კლაუზიუს-კლაპეირონის განტოლების ინტეგრირების მუდმივა ნულის ტოლია.

### III. წონასწორობა პომოგენურ და პეტეროგენულ სისტემებში

#### 1. ქიმიური წონასწორობა მყარდება, როდესაც

- ა) პირდაპირი რეაქციის სიჩქარე მეტია შებრუნებული რეაქციის სიჩქარეზე;  
 ბ) პირდაპირი რეაქციის სიჩქარე ნაკლებია შებრუნებული რეაქციის სიჩქარეზე;  
 გ) პირდაპირი რეაქციის სიჩქარე ტოლია შებრუნებული რეაქციის სიჩქარის;  
 დ) შებრუნებული რეაქციის სიჩქარე მეტია პირდაპირი რეაქციის სიჩქარეზე.

#### 2. წონასწორობის მუდმივა აირად ფაზაში მიმდინარე რეაქციისათვის

$$aA + bB = mM + nN \text{ გამოისახება}$$

$$\begin{array}{ll} \text{ა) } K_p = \frac{P_A^a \cdot P_B^b}{P_M^m \cdot P_N^n}; & \text{ბ) } K_c = \frac{C_M^m \cdot C_N^n}{C_A^a \cdot C_B^b}; \\ \text{დ) } K_p = \frac{P_M^m \cdot P_N^n}{P_A^a \cdot P_B^b}; & \text{ღ) } K_c = \frac{C_A^a \cdot C_B^b}{C_M^m \cdot C_N^n}. \end{array}$$

#### 3. წონასწორობის მუდმივა ხსნარში მიმდინარე რეაქციისათვის

$$aA + bB = mM + nN \text{ გამოისახება}$$

$$\begin{array}{ll} \text{ა) } K_p = \frac{P_A^a \cdot P_B^b}{P_M^m \cdot P_N^n}; & \text{ბ) } K_c = \frac{C_M^m \cdot C_N^n}{C_A^a \cdot C_B^b}; \\ \text{დ) } K_p = \frac{P_M^m \cdot P_N^n}{P_A^a \cdot P_B^b}; & \text{ღ) } K_c = \frac{C_A^a \cdot C_B^b}{C_M^m \cdot C_N^n}. \end{array}$$

#### 4. წონასწორულ რეაქციაში როდესაც პროდუქტები მეტი რაოდენობით მიიღება წონასწორობის მუდმივას მნიშვნელობა

- ა) უდრის ერთს; გ) ერთზე ნაკლებია;  
 ბ) ერთზე მეტია; დ) უდრის ნულს.

#### 5. ვლადიმიროვის მეთოდით წონასწორობის მუდმივა განისაზღვრება განტოლებით.

$$\begin{array}{ll} \text{ა) } \lg K_p = -\frac{\Delta G^0}{2,303RT}; & \text{ბ) } \lg K_p = \frac{\Delta M}{T} + \Delta N; \\ \text{დ) } R \ln K_p = -\frac{\Delta H_{298}^0}{T} + \Delta S_{298}^0 + \Delta aM_0 + \Delta bM_1 + \Delta cM_{2-}; & \text{ღ) } \ln K_p = -\frac{\Delta G^0}{RT}. \end{array}$$

#### 6. განტ-ჰოფის იზოქორის განტოლებიდან გამომდინარე ტემპერატურის გაზრდით წონასწორობა

- ა) გადაიხრება ენდოთერმული რეაქციის მიმართულებით;

ბ) გადაიხრება ეგზოთერმული რეაქციის მიმართულებით;

გ) უცვლელია;

დ) გადაიხრება მოლთა რიცხვის გაზრდის მიმართულებით.

**7. განტ-პოფის იზოქორის და იზობარის განტოლებები გვიჩვენებს**

ა) წონასწორობის მუდმივას დამოკიდებულებას დროზე;

ბ) წონასწორობის მუდმივას დამოკიდებულებას ტემპერატურაზე;

გ) თავისუფალი ენერგიის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე;

დ) ნაჯერი ორთქლის წნევის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე.

**8. განტ-პოფის რეაქციის იზოთერმის განტოლება მუდმივი მოცულობისა და**

**ტემპერატურის პირობებში მიმდინარე რეაქციისათვის გამოისახება**

ა)  $\Delta A = W_{\max} = RT(\ln K_c - \Delta \ln C);$  გ)  $\Delta A = W_{\max} = RT(\Delta \ln C - \ln K_c);$

ბ)  $\Delta A = W_{\max} = PV(\ln C + \ln K_c);$  დ)  $\Delta A = W_{\max} = RT^2 (\Delta H - \ln K_c);$

**9. განტ-პოფის რეაქციის იზოთერმის განტოლება მუდმივი წნევისა და მუდმივი**

**ტემპერატურის პირობებში გამოისახება**

ა)  $\Delta G = W_p = RT(\ln K_p - \Delta \ln P);$  გ)  $\Delta G = W_p = RT(\ln K_p + \Delta \ln C);$

ბ)  $\Delta G = W_p = RT(\ln P + \ln K_p);$  დ)  $\Delta G = W_p = RT(\Delta H + \ln K_p);$

**10. ქიმიური რეაქციის მიმდინარეობისას განტ-პოფის რეაქციის იზოთერმის განტოლების თანახმად მუშაობა სრულდება და რეაქცია პირდაპირი მიმართულებით მიღის, როდესაც**

ა)  $\ln K_c > \Delta \ln C;$  გ)  $\ln K_c < \Delta \ln C;$

ბ)  $\ln K_c = \Delta \ln C;$  დ)  $\ln K_c = RT^2;$

**11. ქიმიური რეაქციის მიმდინარეობისას, განტ-პოფის რეაქციის იზოთერმის**

**განტოლების თანახმად მუშაობა სრულდება და რეაქცია შებრუნებული**

**მიმართულებით მიღის, როდესაც**

ა)  $\Delta \ln C > \ln K_c;$  გ)  $\Delta \ln C < \ln K_c;$

ბ)  $\Delta \ln C = \ln K_c;$  დ)  $\ln K_c = RT^2.$

**12. განტ-პოფის რეაქციის იზოთერმის განტოლების თანახმად სისტემა წონასწორობაშია, როდესაც**

ა)  $\ln K_c = \Delta \ln C;$  გ)  $\Delta \ln C < \ln K_c;$

ბ)  $\Delta \ln C > \ln K_c;$  დ)  $\ln K_c = \Delta H.$

**13. განტ-პოფის რეაქციის იზოთერმის განტოლება საშუალებას გვაძლევს**

**გიშინასწარმეტყველოთ**

- ა) რეაქციის მიმართულება; გ) რეაქციის სითბური ეფექტი;  
 ბ) რეაქციის მიმდინარეობის დრო; დ) წონასწორობის მუდმივას მნიშვნელობა.

**14. წონასწორობის მუდმივას დამოკიდებულებას ტემპერატურაზე გვაძლევს**

- ა) ჯიბს-ჰელმილცის განტოლება;  
 ბ) განტ-ჰოფის იზოთერმის განტოლება;  
 გ) განტ-ჰოფის იზობარის და იზოქორის განტოლებები;  
 დ) კლაპეირონ-კლაუზიუსის განტოლება.

**15. წონასწორობის მუდმივას ტემპერატურაზე დამოკიდებულება გამოისახება**

$$\text{ა) } \frac{d \ln K_P}{dT} = \frac{\Delta H}{RT^2}; \quad \text{გ) } K_P = \frac{C_n^m \cdot C_W^n}{C_A^a \cdot C_B^b};$$

$$\text{ბ) } W_P = RT(\ln K_P - \Delta \ln P); \quad \text{ღ) } \frac{d \ln K_P}{dT} = \frac{RT^2}{M}$$

**16. ქიმიური წონასწორობის დროს**

- ა) საწყისი ნივთიერებების ქიმიური პოტენციალების ჯამი მეტია მიღებული ნივთიერებების ქიმიური პოტენციალების ჯამზე;  
 ბ) საწყისი ნივთიერებების ქიმიური პოტენციალების ჯამი ნაკლებია მიღებული ნივთიერებების ქიმიური პოტენციალების ჯამზე;  
 გ) საწყისი ნივთიერებების ქიმიური პოტენციალების ჯამი ტოლია მიღებული ნივთიერებების ქიმიური პოტენციალების ჯამისა;  
 დ) მიღებული ნივთიერებების ქიმიური პოტენციალების ჯამი ნულის ტოლია.

**17. ჯიბსის ფაზათა წესი ამყარებს კავშირს**

- ა) კომპონენტს, ფაზასა და შიგა ენერგიას შორის;  
 ბ) ფაზას, თავისუფლების ხარისხთა რიცხვსა და ენტროპიას შორის;  
 გ) კომპონენტს, ფაზასა და თავისუფლების ხარისხთა რიცხვს შორის;  
 ღ) თავისუფლების ხარისხთა რიცხვს, ჯიბსის თავისუფალ ენერგიასა და ენთალპიას შორის.

**18. კომპონენტი არის**

- ა) სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეიძლება მისგან გამოვყოთ და რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია არსებობა;  
 ბ) ქიმიურად ერთგვაროვანი ნივთიერება, რომელიც სისტემის შედგენილობაში შედის;  
 გ) სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცალკე ფაზას გვაძლევს;  
 ღ) სისტემის შემადგენელი მოლეკულები.

19.  $KCl$ -ის წყალხსნარში კომპონენტებია

- ა)  $K^+$ ,  $H^+$ ,  $OH^-$ ,  $Cl^-$ ; გ)  $HCl$  და  $H_2O$  მოლეკულები  
ბ)  $K^+$ ,  $Cl^-$ ;  $H_2O$ ; ღ)  $H^+$ ,  $OH^-$ ,  $KCl^-$ ;

20. თავისუფლების ხარისხთა რიცხვი ეწოდება

- ა) სისტემის ოერმოდინამიკური მდგომარეობის განმსაზღვრელ დამოუკიდებელი ცვლადების რიცხვს, რომელთა ცვლილება არ იწვევს ფაზათა რიცხვის ცვლილებას.  
ბ) სისტემის მდგომარეობის განმსაზღვრელ მახასიათებელ ფუნქციებს;  
გ) სისტემის ენერგეტიკული მდგომარეობის განმსაზღვრელ სიდიდეებს;  
ღ) სისტემის იმ ტემპერატურულ ინტერვალს, რომელშიც ფაზათა რიცხვი უცვლელია

21. ჯიბსის ფაზათა წესი, როდესაც გარე ფაქტორებიდან მხოლოდ წნევა და ტემპერატურა ახდენს გავლენას გამოისახება

- ა)  $S = K + F - 2$ ; გ)  $F = S - K + 2$ ;  
ბ)  $S = K - F + 2$ ; ღ)  $K = S - F + 2$ .

22. ჯიბსის ფაზათა წესი, როდესაც გარე ფაქტორებიდან ან წნევა, ან ტემპერატურა ახდენს გავლენას გამოისახება

- ა)  $S = K + F - 1$ ; გ)  $F = S - K + 2$ ;  
ბ)  $S = K - F + 1$ ; ღ)  $K = S - F + 2$ .

23. ჯიბსის ფაზათა წესი როდესაც სისტემაზე გარე ფაქტორები არ ახდენენ გავლენას გამოისახება

- ა)  $S = K - F$ ; გ)  $K = S - F$ ;  
ბ)  $S = K + F$ ; ღ)  $S = F - K$ .

24. როდესაც სისტემაზე ი სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს ჯიბსის ფაზათა წესი გამოისახება

- ა)  $S = K - F + n$ ; გ)  $K = S - F + n$ ;  
ბ)  $S = F - K + n$ ; ღ)  $F = S - K + n$ .

25. სითხესთან წონასწორობაში მყოფი ორთქლის წნევას ეწოდება

- ა) პარციალური წნევა; გ) ფუგიტიურობა;  
ბ) ნაჯერი ორთქლის წნევა; ღ) წონასწორული წნევა.

26. მუდმივი წნევისა და ტემპერატურის დროს წონასწორობის პირობაა

- ა) ყველა ფაზის შიგა ენერგიების ტოლობა;

- ბ) ყველა ფაზის კომპონენტთა რიცხვის ტოლობა;
- გ) ყველა ფაზის ქიმიური პოტენციალების ტოლობა;
- დ) ყველა ფაზის თავისუფლების ხარისხთა რიცხვის ტოლობა;

## 27. კლაუზიუს-კლაპეირონის განტოლება განსაზღვრავს

- ა) სითხის ან მყარი ნივთიერების ნაჯერი ორთქლის წნევის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე;
- ბ) რეაქციის სითბური ეფექტის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე;
- გ) წონასწორობის მუდმივას დამოკიდებულებას ტემპერატურაზე;
- დ) ჯიბსის თავისუფალი ენერგიის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე.

## 28. კლაუზიუს-კლაპეირონის განტოლება გამოისახება:

$$\begin{array}{ll} \text{ა) } \frac{d \ln P}{dT} = \frac{\lambda}{RT^2}; & \text{ბ) } \frac{d \ln K}{dT} = \frac{\Delta H}{T^2}; \\ \text{ვ) } d\left(\frac{\Delta G}{T}\right) = -\frac{\Delta H}{T^2} dT; & \text{დ) } \frac{d \Delta U}{dT} = \Delta C_p \end{array}$$

## 29. კლაუზიუს-კლაპეირონის განტოლების ინტეგრალური ფორმა

$$\begin{array}{ll} \text{ა) } \ln P = \int_{T_1}^{T_2} \frac{\lambda}{RT^2} dT + const; & \text{ბ) } \Delta G = -T \int_{T_1}^{T_2} \frac{\Delta H dT}{T^2} + const; \\ \text{ვ) } \ln K = \int_{T_1}^{T_2} \frac{\Delta H}{T^2} dT + const; & \text{დ) } \Delta H_{T_2} = \Delta H_{T_1} + \int_{T_1}^{T_2} \Delta C_p dT. \end{array}$$


## 30. სითხის ან მყარი ნივთიერების ნაჯერი ორთქლის წნევის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე გვიჩვენებს

- ა) ჯიბს-ჰელმოლცის განტოლება;
- ბ) განტ-პოფის იზოთერმის განტოლება;
- გ) კლაუზიუს-კლაპეირონის განტოლება;
- დ) განტ-პოფის იზოქორის და იზობარის განტოლებები.

## 31. რისი ტოლია თავისუფლების ხარისხის რიცხვი (S) ერთკომპონენტიანი სისტემისათვის, რომელიც შეიცავს მყარ და თხევად ფაზებს წონასწორობის დროს.

$$\text{ა) } S = 3; \quad \text{ბ) } S = 0; \quad \text{გ) } S = 2 \quad \text{დ) } S = 1$$

32. გამოსახული სქემატურად წყლის მდგომარეობის დიაგრამა (ფაზური წონასწორობის დიაგრამა) კოორდინატებში  $P = f(T)$



33. რას ეწოდება დუღილის ტემპერატურა


- ა) ტემპერატურას, რომელზეც ქრება განსხვავება სითხესა და ორთქლს შორის;
- ბ) ტემპერატურას, რომელზეც მიმდინარეობს სითბოს ენერგიული აორთქლება;
- გ) ტემპერატურას, რომელზეც ნაჯერი ორთქლის წნევა სითხის ზემოთ უტოლდება ატმოსფერულ წნევას;
- დ) ტემპერატურას, რომელზეც სითხე ორთქლდება და ორთქლი სითხედ იქცევა.

34. რას ეწოდება სითხის ნაჯერი ორთქლი


- ა) ორთქლს, რომელიც იმყოფება შეხებაში სითხის ზედაპირთან;
- ბ) ორთქლს, რომელიც წონასწორობაშია სითხესთან;
- გ) ორთქლს, რომელიც წარმოიქმნება სითხის დუღილის დროს;

- დ) ორთქლს, რომელშიც შეწონილია სითხის უმცირესი ნაწილაკები.
35. მიუთითეთ ერთკომპონენტიანი სისტემისათვის ფაზათა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ერთდროულად შეიძლება არსებობდეს თერმოდინამიკური წონასწორობის დროს
- ა) F = 1;                  ბ) F = 2;                  გ) F = 3 ;                  დ) F = 4.
36. რას უდრის თავისუფლების ხარისხთა რიცხვი ერთკომპონენტიანი სისტემისათვის სამშაგ წერტილში
- ა) S= 3;                  ბ) S = 2;                  გ)S = 1;                  დ) S = 0
37. ნონგარიანტულ წერტილში ორკომპონენტიანი სისტემებისათვის, როდესაც გარე ფაქტორებიდან მხოლოდ ტემპერატურა ახდენს გავლენას წონასწორობაშია
- ა) ერთი ფაზა;                  გ) სამი ფაზა;
- ბ) ორი ფაზა;                  დ) ოთხი ფაზა.
38. ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს
- ა) ევტენტიკის პორიზონტალზე;                  გ) პერიტენტიკის პორიზონტალზე;
- ბ) სოლიდუსზე;                  დ) ლიკვიდუსზე.
39. ერთკომპონენტიანი სისტემის (წყლის) მდგომარეობის დიაგრამაზე არ არის
- ა) სოლიდუსის მრუდი;                  გ) აორთქლების მრუდი;
- ბ) აქროლვის მრუდი ;                  დ) დნობის მრუდი.
40. მდგომარეობის დიაგრამას აგებენ
- ა) ბერკეტის წესით;                  გ) ჯიბსის ფაზათა წესით;
- ბ) წროობის მეთოდით;                  დ) ჰუნდის წესით.
41. ორკომპონენტიანი სისტემის დიაგრამაზე თხევადი ფაზის არეში S უდრის
- ა) ერთს;                  გ) სამს;
- ბ) ორს;                  დ) ნულს.
42. ევტენტიკის წერტილში სისტემა
- ა) ნონგარიანტულია;                  გ) მონოგარიანტულია;
- ბ) ბიგარიანტულია;                  დ) ტრიგარიანტულია.
43. რამდენი ევტენტიკური წერტილია ორკომპონენტიანი სისტემის დიაგრამაზე ნაერთის კონგრუენტულად დნობისას
- ა) ერთი;                  ბ) ორი;                  გ) ნული;                  დ) სამი.

44. მოცემული დიაგრამის სრული დასახელებაა




- ა) მყარ და თხევად მდგომარეობაში შეუზღუდავად ხსნადი სისტემის მდგომარების დიაგრამა;
  - ბ) ქიმიური ნაერთის წარმომქმნელი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა;
  - გ) ეპტემპერატურული წერტილის მქონე სისტემის მდგომარეობის დიაგრამა.
  - დ) მყარ მდგომარეობაში შეზღუდული ხსნადობის მქონე სისტემის მდგომარეობის დიაგრამა.
45. წონასწორობის პირობებში რომელი ფაზები იმყოფებიან 1 და 2 არეებში




- ა) 1 - თხევადი, 2 - მყარი;
- ბ) 1 - მყარი, 2 - თხევადი;
- გ) 1 - მყარი, 2 - აირადი;
- დ) 1 - აირადი, 2 - მყარი.

46. რისი ტოლია თავისუფლების ხარისხთა რიცხვი 1 არეში




- ა)  $S = 1$ ; ბ)  $S = 2$ ; გ)  $S = 0$ ; ღ)  $S = 3$ .

47. რისი ტოლია თავისუფლების ხარისხთა რიცხვი  $T_a E$  და  $T_b E$  წირებზე




- ა)  $S = 1$ ; ბ)  $S = 2$ ; გ)  $S = 3$ ; ღ)  $S = 0$

48. რისი ტოლია თავისუფლების ხარისხთა რიცხვი  $E$  წერტილში




- ა)  $S = 0$ ; ბ)  $S = 1$ ; გ)  $S = 2$ ; დ)  $S = 3$

49. რამდენი ფაზა თანაარსებობს 3 და 4 არეებში და რას უდრის თავისუფლების ხარისხთა რიცხვი




- ა)  $F = 1; S = 1$ ; ბ)  $F = 2; S = 1$ ; გ)  $F = 2; S = 2$ ; დ)  $F = 3; S = 2$

50. რამდენი ფაზა თანაარსებობს E წერტილში




- ა)  $F = 2$ ;      ბ)  $F = 1$ ;      გ)  $F = 3$ ;      ღ)  $F = 4$ .

51 მოცემული დიაგრამის სრული დასახელებაა




- ა) მყარ და თხევად მდგომარეობაში შეზღუდულად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა;  
 ბ) მყარ მდგომარეობაში შეზღუდულად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა ევტექტიკით;  
 გ) ქიმიური ნაერთის წარმომქმნელი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა;  
 ღ) მყარ მდგომარეობაში შეზღუდულად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა პერიტექტიკით.

52. წონასწორობის პირობებში რომელი ფაზები იმყოფებიან 1 და 2 არეებში




- ა) 1 – ნალღობი, 2 – მყარი;
  - ბ) 1 – მყარი, ნალღობი და ახსნარი;
  - გ) 1 – ნალღობი, 2 – ნალღობი და პ კრისტალები;
  - დ) 1 – ნალღობი და α ხსნარი, 2 – α ხსნარი.
53. განსაზღვრეთ თავისუფლების ხარისხის რიცხვი 1 და 2 წერტილებში




- ა) 1 -  $S = 2$ ; . 2 -  $S = 1$ ;
- ბ) 1 -  $S = 1$ ; 2 -  $S = 2$ ;
- გ) 1 -  $S = 1$ ; 2 -  $S = 1$ ;
- ღ) 1 -  $S = 2$ ; 2 -  $S = 2$

54. განსაზღვრეთ რამდენი ფაზაა  $M$  წერტილში




- ა)  $F = 1$ ; ბ)  $F = 2$ ; გ)  $F = 3$ ; დ)  $F = 4$ .

55. რისი ტოლია თავისუფლების ხარისხთა რიცხვი  $E$  წერტილში




- ა)  $S = 0$ ; ბ)  $S = 1$ ; გ)  $S = 2$ ; დ)  $S = 3$ .

56. მოცემული დიაგრამის სრული დასახელებაა




- ა) მყარ და ოხევად მდგომარეობაში შეზღუდვად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა;
- ბ) მყარ მდგომარეობაში შეზღუდულად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა ევტექტიკით;
- გ) ქიმიური ნაერთის წარმომქმნელი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა;
- დ) მყარ მდგომარეობაში შეზღუდულად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა პერიტექტიკით.

57. წონასწორობის პირობებში რომელი ფაზები იმყოფებიან 1 და 2 არეებში




- ა) 1 – ნალეობი, 2 – მყარი;  
 ბ) 1 – ნალეობი, 2 - ნალეობი და  $\alpha$  ხსნარი;  
 გ) 1 – ნალეობი, 2 – ნალეობი და  $\alpha$  კრისტალები;  
 ღ) 1 – მყარი, 2 –  $\alpha$  ხსნარი.

58. რამდენი ფაზა თანაარსებობს  $E$  წერტილში




- ა)  $F = 1$ ;      ბ)  $F = 2$ ;      გ)  $F = 3$ ;      ღ)  $F = 4$

59. თავისუფლების ხარისხთა რიცხვი  $E$  წერტილში ტოლია




- ა)  $S = 0$ ;      ბ)  $S = 1$ ;      გ)  $S = 2$ ;      ღ)  $S =$

60. განსაზღვრეთ თავისუფლების ხარისხთა რიცხვი 1 და 2 არებში.




- ა) 1 -  $S = 1$ ; 2 -  $S = 1$ ;  
 ბ) 1 -  $S = 2$ ; 2 -  $S = 2$ ;  
 გ) 1 -  $S = 1$ ; 2 -  $S = 2$ ;  
 დ) 1 -  $S = 2$ ; 2 -  $S = 1$

61. წონასწორობის პირობებში რომელი ფაზები იმყოფებიან 1 და 2 არებში




- ა) 1 - მყარი, 2 - თხევადი;  
 ბ) 1 - თხევადი, 2 - მყარი;  
 გ) 1 - თხევადი, 2 - ნალღობი და ა კრისტალები;  
 დ) 1 - თხევადი, 2 - ნალღობი და ბ კრისტალები.

62. მოცემული დიაგრამის სრული დასახელებაა




- ა) მყარ და ოხევად მდგომარეობაში შეზღუდული ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა;
  - ბ) მყარ მდგომარეობაში შეზღუდული ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა ევტენტიკით;
  - გ) ქიმიური ნაერთის წარმომქმნელი სისტემის მდგომასრეობის დიაგრამა.
  - დ) მყარ მდგომარეობაში შეზღუდული ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა ეპერიტენტიკით;
63. წონასწორულ პირობებში როგორია 3 არის შედგენილობა




- ა) ნალღობი;
- ბ) მყარი;
- გ) ნალღობი და მყარი;
- დ) ნალღობი და ა კრისტალები.

64. რა ეწოდება  $T_s I T_d$  და  $T_s 2T_d$  წილებს




- ა) 1 – ლიკვიდუსი, 2 – სოლიდუსი; გ) 1 – ეპტექტიკის, 2 – სოლიდუსი;  
 ბ) 1 - სოლიდუსი, 2 – ლიკვიდუსი; ღ) 1 – ლიკვიდუსი, 2 – ეპტექტიკის.

65. წონასწორობის პირობებში როგორია 1 და 3 არის თავისუფლების ხარისხთა  
 რიცხვი



- ს) 1-  $S = 2$ ; 3 -  $S = 1$ ; გ) 1 -  $S = 1$ ; 3 -  $S = 2$ ;  
 ბ) 1 -  $S = 2$ ; 3 -  $S = 2$ ; ღ) 1 -  $S = 1$ ; 3 -  $S = 1$ .

66. მოცემული დიაგრამის სრული დასახელებაა



- ა) მყარ და თხევად მდგომარეობაში შეზღუდულად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა პერიტექტიკით;
- ბ) მყარ და თხევად მდგომარეობაში შეზღუდულად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა ეგტექტიკით;
- გ) მყარ და თხევად მდგომარეობაში შეუზღუდავად ხსნადი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა;
- დ) ქიმიური ნაერთის წარმომქმნელი სისტემის მდგომარეობის დიაგრამა.
67. დაწერეთ ჯიბსის ფაზათა წესი სამკომპონენტიანი სისტემებისათვის რომლი-  
სთვისაც გარე ფაქტორებიდან მხოლოდ ტემპერატურა მოქმედებს.
- ა)  $S = 1 - F$ ;      ბ)  $S = 2 - F$ ;      გ)  $S = 3 - F$ ;      ღ)  $S = 4 - F$ .

## *IV. არაელექტროლიტთა ხსნარები*

### **1. ხსნარი**

- ა) ნაერთია;
- ბ) პომოგენური ნარევია;
- გ) ჰეტეროგენული სისტემა;
- დ) მარტივი ნივთიერებაა.

### **2. ხსნადობას უწოდებენ**

- ა) ერთი ნივთიერების მეორეში გახსნის უნარს;
- ბ) გახსნილი ნივთიერების გრამების რაოდენობას 1000გ გამხსნელში;
- გ) გახსნილი ნივთიერების გრამების რაოდენობას 10გ გამხსნელში;
- დ) გახსნილი ნივთიერების გრამების რაოდენობას 1ლ გამხსნელში

### **3. ხსნადობა დამოკიდებულია**

- ა) გახსნილი ნივთიერების და გამხსნელის ბუნებაზე, ტემპერატურასა და წნევაზე;
- ბ) გამხსნელის მოლეკულურ მასაზე;
- გ) გახსნილი ნივთიერების სიმკვრივეზე;
- დ) გახსნილი ნივთიერების აგრეგატულ მდგომარეობაზე.

### **4. აირების ხსნადობა სითხეებში იზრდება**

- ა) ტემპერატურის გაზრდით;
- ბ) წნევის შემცირებით;
- გ) ტემპერატურის შემცირებით;
- დ) გახსნილი ნივთიერების პოლარობის გაზრდით.

### **5. როგორ არის დამოკიდებული აირების ხსნადობა სითხეებში ტემპერატურაზე, თუ აირსა და სითხეს შორის სპეციფიკური ურთიერთქმედება არ ხდება**

- ა) ტემპერატურის გაზრდით აირების ხსნადობა სითხეებში იზრდება;
- ბ) ტემპერატურის გაზრდით აირების ხსნადობა სითხეებში მცირდება;
- გ) არ არის დამოკიდებული;
- დ) ტემპერატურის გაზრდით აირების ხსნადობა სითხეებში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

### **6. როგორ გამოისახება ხსნადობა მოცემულ ტემპერატურაზე**

- ა) ნივთიერების რაოდენობა გ-ში გახსნილი 1 ლიტრ ხსნარში;
- ბ) ნივთიერების რაოდენობა მლ-ში გახსნილი 100გ ხსნარში;
- გ) ნივთიერების რაოდენობა გ-ში გახსნილი 100 მლ გამხსნელში;
- დ) მოცემულ ტემპერატურაზე ნივთიერების მაქსიმალური რაოდენობა გ-ში

გახსნილი 100გ გამხსნელში.

7. ხსნადობის კოეფიციენტი ეწოდება ნივთიერების მაქსიმალურ რაოდენობას რომელიც მოცემულ ტემპერატურაზე იხსნება

ა) 1000გ გამხსნელში; გ) 100გ გამხსნელში;

ბ) 1ლ გამხსნელში დ) 1 მლ გამხსნელში.

8. პრაქტიკულად უხსნადია (არახსნადი) ნივთიერება, თუ 100გ გამხსნელში ოთახის ტემპერატურაზე იხსნება

ა) 10გ-ზე მეტი; გ) 0,01გ-ზე ნაკლები;

ბ) 0,01გ-დან 1გ-მდე; დ) 0,5გ ნივთიერება.

9. კონცენტრაცია გამოსახავს

ა) ნივთიერების რაოდენობას გახსნილს ხსნარის ერთეულში;

ბ) ნივთიერების რაოდენობას გახსნილს გამხსნელის წონის ან მოცულობის ერთეულში;

გ) ნივთიერების რაოდენობას გახსნილს განზღვრულ წნევაზე;

დ) ნივთიერების რაოდენობას გახსნილს მოცემულ ტემპერატურაზე.

10. ხსნარის შედგენილობა (კონცენტრაცია) გამოისახება

ა) მოცულობით; გ) ენთალპიით;

ბ) მოლური წილებით; დ) თავისუფალი ენერგიით.

11. მოლური კონცენტრაციის განზომილებაა

ა) გ/ლ; ბ) გეპგ/ლ გ) მოლი/ლ; დ) მოლი/გ.

12. ნორმალური კონცენტრაციის განზომილებაა

ა) გ/ლ; ბ) გ.ეპგ/ლ გ) მოლი/ლ; დ) მოლი/გ.

13. მოლური ხსნარი არის

ა) გახსნილი ნივთიერების მოლების რაოდენობა 1 ლიტრში;

ბ) 1000გ გამხსნელში; გ) 100 მლ გამხსნელში;

დ) n რაოდენობა გამხსნელში;

14. მოლური კონცენტრაციის განზომილებაა

ა) გ/სმ<sup>3</sup>; ბ) გ.ეპგ/ლ; გ) მოლი/ლ; დ) მოლი/1000გ.

15. პროცენტული ხსნარი გამოსახავს

ა) გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვს 100 გ გამხსნელში;

ბ) გახსნილი ნივთიერების გრამების რაოდენობას 100 გ ხსნარში;

გ) გახსნილი ნივთიერების მოლების რიცხვს 1 ლ ხსნარში;

დ) გახსნილი ნივთიერების გრამების რაოდენობას 100 გ გამხსნელში.

**16. ხსნარი 20%-ია, თუ**

- ა) 100 გ გამხსნელში გახსნილია 20გ ნივთიერება;
- ბ) 1 ლიტრში გახსნილია 20გ ნივთიერება;
- გ) 1000გ გამხსნელში გახსნილია 20გ ნივთიერება;
- დ) 100გ ხსნარში 20გ გახსნილია ნივთიერება.

**17. მოლალური ხსნარი ეწოდება**

- ა) გახსნილი ნივთიერების გრამ მოლეკულების რაოდენობას 1 ლიტრ ხსნარში;
- ბ) გახსნილი ნივთიერების გრამ მოლეკულების რაოდენობას 1000გ გამხსნელში;
- გ) გახსნილი ნივთიერების გრამების რაოდენობას 1 ლიტრ ხსნარში;
- დ) გახსნილი ნივთიერების გრამების რაოდენობას 100გ გამხსნელში.

**18. მოლური წილი გამოისახება**

$$\begin{array}{ll} \text{ა)} & N_i = \frac{n_i}{\sum n}; \\ & \text{ბ)} & N_i = \frac{V_i}{\sum V_i} \\ \text{გ)} & N_i = \frac{M_i}{\sum M_i}; & \text{დ)} & \varphi_i = \frac{M_i}{\sum M_i}. \end{array}$$

**19. ხსნარის კომპონენტების მოლური წილების ჯამი ტოლია**

- ა) 1;
- ბ) 1000;;
- გ) 0,1;
- დ) 100.

**20. განზავებულია ხსნარი, თუ**

- ა) გამხსნელის მოლური წილი  $N_1 \rightarrow 1$ , ხოლო გახსნილი ნივთიერების მოლური წილი  $N_2 \rightarrow 0$ ;
- ა) გახსნილი ნივთიერების მოლეკულები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან;
- გ) გამხსნელის მოლური წილი  $N_1 \rightarrow 0$ , ხოლო გახსნილი ნივთიერების მოლური წილი  $N_2 \rightarrow 1$ ;
- დ) გამხსნელისა და გახსნილი ნივთიერების ქიმიური თვისებები ერთნაირია.

**21. ნაჯერი ეწოდება ხსნარს, რომელშიც**

- ა) აღებული ნივთიერება მოცემულ ტემპერატურაზე მეტად აღარ იხსნება;
- ბ) აღებული ნივთიერება მოცემულ ტემპერატურაზე კიდევ იხსნება;
- გ) აღებული ნივთიერება მოცემულ ტემპერატურაზე იხსნება 1გ-ის რაოდენობით;
- დ) აღებული ნივთიერება მოცემულ ტემპერატურაზე იხსნება 100გ გამხსნელში.

**22. ხსნარების თეორიაში განიხილება**

- ა) იდეალური და რეალური ხსნარები;
- გ) მხოლოდ განზავებული;

- ბ) მხოლოდ აირადი ხსნარები; ღ) მხოლოდ სრულყოფილი.
- 23. სრულყოფილია ხსნარი, თუ კომპონენტების**
- ა) ფიზიკური თვისებები განსხვავებულია;
  - ბ) ფიზიკური და ქიმიური თვისებები მსგავსია;
  - გ) ქიმიური თვისებები განსხვავებულია;
  - ღ) ქიმიური შედგენილობა ერთნაირია.
- 24. აქტიურობა გამოსახავს**
- ა) კონცენტრაციას იდეალურ ხსნარში; ღ) კონცენტრაციას რეალურ ხსნარში;
  - ბ) წნევას იდეალურ ხსნარში; ღ) წნევას რეალურ ხსნარში.
- 25. კოლიგატიური თვისებაა**
- ა) იდეალური ხსნარის ისეთი თვისება, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ გახსნილი ნივთიერების ნაწილაკთა რიცხვზე და არა მის ბუნებაზე;
  - ბ) ხსნარის თვისება, რომელიც დამოკიდებულია გახსნილი ნივთიერების თვისებებზე;
  - გ) ხსნარის თვისება, რომელიც განპირობებულია გამხსნელის რაოდენობით და გახსნილი ნივთიერების თვისებებით;
  - ღ) ხსნარის თვისება, რომელიც განპირობებულია გამხსნელისა და გახსნილი ნივთიერების პოლარობით.
- 26. კოლიგატიური თვისებებია**
- ა) შიგა ენერგია, ენტროპია, რეფრაქცია;
  - ბ) თავისუფალი ენერგია, წნევა, მოცულობა;
  - გ) ტემპერატურა, კუთრი წონა, ქიმიური პოტენციალი;
  - ღ) ოსმოსური წნევა, დუღილის ტემპერატურის აწევა, შიგა ენერგია.
- 27. ექსტენსიური თვისებებია**
- ა) მასა, მოცულობა, შინაგანი ენერგია; გ) წნევა, მოცულობა;
  - ბ) მასა, ტემპერატურა; ღ) წნევა, ტემპერატურა.
- 28. ინტენსიური თვისებებია**
- ა) ენტროპია, წნევა; გ) წნევა, ტემპერატურა;
  - ბ) შინაგანი ენერგია, ტემპერატურა; ღ) მასა, წნევა, ტემპერატურა.
- 29. პარციალური მოლური სიდიდეა**
